საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიანიც ბეჭდვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 2 თებერვალი. 2024 წ. №13 (9693) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

„ქართულმა ოცნებამ“ შეუძლებელი შეძლო!

ნომრის სიტყვა:

პირველ რიგში, მოგესალმებით ყველას. მივესალმები პარტიის დამფუძნებელს, მატონ მიძინა ივანიშვილს. ჩვენი ოჯახის თითოეულ წევრს მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ უდიდესი ნდობისთვის. ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ არჩევა, – ამის შესახებ **ირაკლი ღარიბაშვილმა** პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ რიგით მე-8 ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, როდესაც მიძინა ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, მაშინ საქართველოს არავითარი ხელშესახები შედეგი არ ჰქონდა ევროინტეგრაციის გზაზე. სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს მოეწერა ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ ვაჭრობას, უვიზო რეჟიმს და ქვეყანამ შარშან დეკემბერში მიიღო კანდიდატის სტატუსი.

...„2011 წელს ჩვენი პარტიის დამფუძნებელმა მატონმა მიძინა ივანიშვილმა ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნებით შექმნა სახალხო პროცესი, რომელმაც შეძლო ის, რაც მანამდე შეუძლებელი იყო – დემოკრატიულად, არჩევნების გზით დაამარცხა ყველაზე ანტისახელმწიფოებრივი, ანტიერონული, ქართველი ხალხის მჩაგვრელი რეჟიმი და სათავე დაუდო ჩვენი ქვეყნის განვითარების სრულიად ახალ ეტაპს. მოლო 12 წელიწადში, მთელ მსოფლიოში უდიდესი გამოწვევების – პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული კრიზისების პირობებში საქართველომ არა მხოლოდ შეინარჩუნა მშვიდობა და სტაბილურობა, არამედ არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების, ეკონომიკური განვითარების, სოციალური თანასწორობის, ევროინტეგრაციის მიმართულებებით.

მსურს, კიდევ ერთხელ საზოგადოებას შევახსენო ვითარება, რომელიც მატონ მიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ დახვდა 2012 წელს ქვეყანაში: ეს იყო ფეხქვეშ გათელილი ადამიანის უფლებები, ბიზნესის რეკეტი, პატიმრების წამება, უმუშევრობის მაღალი დონე და სოციალური სიდუხჭირე, ოკუპირებული ტერიტორიები, სრული განუკითხაობა და ქაოსი.

2012 წელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, მთლიანი შიდა პროდუქტი იყო დაახლოებით 27 მილიარდი ლარი; წელს მთლიანი შიდა პროდუქტი გახდება 86 მილიარდი ლარი. ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს ერონული ეკონომიკა 3-ჯერ გაიზარდა. ისტორიულ მინიმუმზე არის უმუშევრობისა და სიღარიბის დონე. ფაქტობრივად განახევრდა სიღარიბე. 2012 წელთან შედარებით ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს.

ირაკლი ღარიბაშვილი

ირაკლი კობახიძე:

საქართველოს აქვს დემოკრატია, მშვიდობა, ეკონომიკური წინსვლა და ქვეყანამ მიიღო კანდიდატის სტატუსი, პირველ რიგში, ეს არის ბიძინა ივანიშვილის დამსახურება

იხ. 2 გვ.

ელბერდ ბატიაშვილი:

„ილიალოგია“ გვჭირდება კი იგი?!..

7

...საით გვიბიძგებს „საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“?!

ჩინეთი პერუში ღრმაწყლოვან პორტს აშენებს!

8

რუსეთის ტყვეობაში მყოფი ქართველი გამოიხსნეს

რუსული ტყვეობიდან საქართველოს მოქალაქე გამოიხსნეს – 59 წლის ზაქრო ნონიაშვილი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც უკრაინული მიწის დასაცავად ოკუპანტებს ებრძოდა.

ახმეტაში დაბადებული, გამოცდილი სერჟანტი რუსებმა ერთი წლის წინ გაიტაცეს.

ნონიაშვილი აზოვსტალის მისადგომებთან იბრძოდა.

ტრამპს და სტოლტენბერგს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგენენ



იხ. 9 გვ.

გიორგი მამაცაშვილი:

რაცა გვყოფს კი არა, რაც გვაერთიანებს, ეს არის, ეს არის, ეს არის მთავარი!..

5

ივანიშვილს და ღარიბაშვილს პრეზიდენტობა არაფერში არ სჭირდებათ!!!

3

დიდი როქი ქართულ პოლიტიკაში

ირაკლი ღარიბაშვილი: მე ვარჩიე ახლავე გადადგომა, რადგან მეტი დრო უნდა დავუთმო პარტიას, ირაკლი კობახიძემ კი – მთავრობის მუშაობას

გუნდმა შემომთავაზა, რომ დავრჩენილიყავი ზაფხულამდე და შემდეგ მომხდარიყო ცვლილებები. მე ვარჩიე ახლავე გადადგომა, რადგან მეტი დრო უნდა დავუთმო პარტიას, ირაკლი კობახიძემ კი – მთავრობის მუშაობას, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„მე მეტ დროს დავუთმობ პარტიულ საქმიანობას. მე ყველაფერი განვმარტე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრებიდან ყველაზე მეტ ხანს, 11 წლიდან ხუთი წელი ვიყავი პრემიერ-მინისტრი. ჩვენს გუნდში დამკვიდრებული დემოკრატიული პროცესის გათვალისწინებით და იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენ დავნერგეთ „ქართულ ოცნებაში“, აუცილებელია გუნდის სხვა წარმატებულ ლიდერს მიეცეს საშუალება, მათაც გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. თავიდანვე გეგმაც ასეთი იყო, მე საზოგადოებას განვუმარტე, რომ ორი არჩევანი არსებობდა. გუნდმა შემომთავაზა, რომ დავრჩენილიყავი ზაფხულამდე და შემდეგ მომხდარიყო ცვლილებები. მე ვარჩიე ახლავე გადადგომა, რადგან მეტი დრო უნდა დავუთმო პარტიას, ირაკლი კობახიძემ კი – მთავრობის მუშაობას“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ქართული ოცნების“ მმართველობის დროს ეროვნული ეკონომიკა სამჯერ გაიზარდა

მინდა საზოგადოებას შევახსენო ვითარება, რომელიც მატონ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ დახვდა 2012 წელს ქვეყანაში. ეს არის ფეხქვეშ გათელილი ადამიანის უფლებები, მიზნესის რეკეტი, პატიმრების წამება, უმუშევრობის მაღალი დონე, სოციალური სიდუხჭირე, ოკუპირებული ტერიტორიები, სრული განუკითხაობა და ქაოსი, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ახალმა თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა პარტიის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„2012 წელს ჩვენი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი იყო დაახლოებით 27 მილიარდი ლარი. წელს მთლიანი შიდა პროდუქტი გახდება 86 მილიარდი ლარი. ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს ეროვნული ეკონომიკა სამჯერ გაიზარდა. ისტორიულ მინიმუმზე არის უმუშევრობისა და სიღარიბის დონე. ფაქტობრივად განახევრდა სიღარიბე.

2012 წელთა შედარებით, ნახევარზე მეტმა მილიონმა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს. გატარდა მასშტაბური რეფორმები. ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, განათლების სისტემის, სოციალური თანასწორობის, სასამართლოსა და მედიის თავისუფლების – არსებითად ყველა მიმართულებით. განხორციელდა ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის მასშტაბური პროექტები. სწორედ ამ რეფორმებისა და პროექტების შედეგად, დღეისათვის საქართველო რეგიონში მოწინავე ლიდერია. მინდა ასევე შევახსენო საზოგადოებას, რომ როდესაც მატონი ბიძინა ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, მაშინ საქართველოს არავითარი ხელშესახები შედეგი არ ჰქონდა ევროინტეგრაციის გზაზე. სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს მოეწერა ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ ვაჭრობას, უვიზო რეჟიმს და ქვეყანამ შარშან დეკემბერში მიიღო კანდიდატის სტატუსი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრად ირაკლი კობახიძე ოფიციალურად წარადგინა

როგორც „ქართული ოცნების“ ახალმა თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა ყრილობაზე სიტყვის გამოსვლისას განაცხადა, პარტიის კანდიდატი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი კობახიძე იქნება და მას წარმატებები უსურვა. ყრილობაზე სიმბოლური კენჭისყრაც გაიმართა.

„მინდა, სიმბოლურად გთხოვოთ ყველას, რომ გამოუცხადოთ მხარდაჭერა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, ირაკლი კობახიძეს. ყრილობისგან აქვს სრული ლეგიტიმაცია და მანდატი მინიჭებული ირაკლი კობახიძეს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პარტიის ყრილობამდე, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს. ირაკლი კობახიძე მთავრობის ახალ შემადგენლობას დაასახელებს, რის შემდეგაც ახალ პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის შემადგენლობას პარლამენტი მომავალ კვირაში დაამტკიცებს.

პრემიერის თანამდებობა ძალიან საპასუხისმგებლოა!

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ირაკლი კობახიძე ირაკლი ღარიბაშვილს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ არჩევას ულოცავს.

კობახიძის თქმით, მადლობას უხდის მთლიანად გუნდს და ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც დაასახელა პრემიერად მისი კანდიდატურა პოლიტსაბჭოს სხდომაზე, ასევე, პოლიტსაბჭოს თითოეულ წევრს და დელეგატებს.

„პრემიერ-მინისტრის თანამდებობა არის ძალიან საპასუხისმგებლო პოზიცია და იმედი მაქვს, გუნდის იმედებს სათანადოდ გავამართლებ. ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევები გვაქვს და გუნდის ერთიანობა ამ შემთხვევაშიც საკვანძოა. როგორც მოგეხსენებათ, პარტიის წესდების თანახმად, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის დასახელება არის პარტიის საპატიო თავმჯდომარის პრერეროგატივა. შესაბამისი პროცედურის მიხედვით, მიიღო პოლიტიკურმა საბჭომ ეს გადაწყვეტილება. კიდევ ერთხელ მადლობა მატონ ბიძინა ივანიშვილს და პოლიტიკური საბჭოს თითოეულ წევრს ნდობისა და ამ გადაწყვეტილებისთვის“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოს აქვს დემოკრატია, მშვიდობა, ეკონომიკური წინსვლა და ქვეყანამ მიიღო კანდიდატის სტატუსი, პირველ რიგში, ეს არის ბიძინა ივანიშვილის დამსახურება

ირაკლი კობახიძემ პრემიერ-მინისტრის პოსტზე მისი კანდიდატურის დასახელებისა და გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა პარტიის დამფუძნებელსა და საპატიო თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს.

„მატონი ბიძინა ივანიშვილი თითოეული ჩვენგანისთვის არის იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ ქვეყანას. გასულ წლებში, გუნდის თითოეულმა წევრმა ჩადო თავისი წილი ძალისხმევა ჩვენი ქვეყნის წინსვლაში. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას – ის, რომ დღეს საქართველოს აქვს დემოკრატია, მშვიდობა, ეკონომიკური წინსვლა და ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, პირველ რიგში, არის მატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურება.

განსაკუთრებული მადლობა პარტიის დამფუძნებელს ამისათვის! გამოცხადებული ნდობისთვის, ასევე, მადლობას გადავუხდი ირაკლი ღარიბაშვილს, ასევე მას მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სამწლიანი უაღრესად წარმატებული მოღვაწეობისთვის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, რამაც ჩვენს ქვეყანას უპრეცედენტო წარმატება მოუტანა, უღრმესი მადლობა თქვენ. მადლობა პარტიის გენერალურ მდივანს, კახა კალაძეს, პარტიის პოლიტიკური საბჭოს თითოეულ წევრს, ყრილობის ყველა დელეგატს. ყველა ის მიღწევა, რომელიც ჰქონდა ჩვენს გუნდს და ქვეყანას უკანასკნელი წლების განმავლობაში, უპირველეს ყოვლისა, იყო გუნდის უპრეცედენტო ერთიანობის შედეგი. ამ ერთიანობისთვის მადლობა ეკუთვნის თითოეულ თქვენგანს – მთავრობის წევრებს, პარლამენტარებს, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებს, პარტიის რიგით წევრებს და მხარდამჭერებს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ათთვიანი სამთავრობო პროგრამა

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ირაკლი კობახიძის განცხადებით, სამთავრობო პროგრამა მაქსიმუმ ხვალ წარედგინება ოფიციალურად საქართველოს პარლამენტს, როგორც ამას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს.

მისივე თქმით, პროგრამაში ასახული იქნება აბსოლუტურად ყველა პრიორიტეტი.

„საუბარია არსებითად 10-თვიან პროგრამაზე. მას შემდეგ, რაც მოვიგებთ ჩვენ საპარლამენტო არჩევნებს, იქ უკვე წარვადგენთ ახალ, განახლებულ, ოთხწლიან ჯერ საარჩევნო და შემდეგ სამთავრობო პროგრამას. აქედან გამომდინარე, პირველი რიგის ამოცანა იქნება იმ პრინციპების ბოლომდე მიყვანა, რაც დაწყებულია არსებული სამთავრობო პროგრამის ფარგლებში. არის ძალიან დიდი, მსხვილი პროექტები, იგივე უმსხვილესი ავტობანის პროექტი, რომელიც წელს ბოლომდე არის მისაყვანი და ასე შემდეგ.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდება ამ ღონისძიებებზე, ამ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ინიციატივების ბოლომდე მიყვანაზე, თუმცა ასევე საუბარი გვექნება, როგორ მოვემზადებით შემდეგი სამთავრობო ფაზისთვის. ამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი ჩვენს პროგრამაში და შემდგომ უკვე ჩვენს გამოსვლებში, როდესაც წარვდგებით საქართველოს პარლამენტის წინაშე"... – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

მთავრობის შემადგენლობაში მხოლოდ თავდაცვის მინისტრი შეიცვლება!

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, მთავრობის შემადგენლობაში ერთადერთი ცვლილება განხორციელდება და თავდაცვის მინისტრს, ჯუანშერ ბურჭულაძეს ირაკლი ჩიქოვანი შეცვლის.

კობახიძემ ამის შესახებ პარტიის ყრილობის შემდეგ განაცხადა.

შალვა პაპუაშვილი: ირაკლი ღარიბაშვილისა და ირაკლი კობახიძის ტანდემი

„მინდა მივულოცო ირაკლი ღარიბაშვილს პარტიის თავმჯდომარედ არჩევა, ხოლო ირაკლი კობახიძეს – პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად დასახელება. მათი შედეგები, ერთის შემთხვევაში მთავრობის ხელმძღვანელის სახით, მეორის შემთხვევაში კი პარტიის თავმჯდომარის სახით, არის სახეზე, როგორც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მიღწევები, გუნდის სიძლიერე, არჩევნების შედეგები. ეს ყველაფერი აჩვენებს, რამდენად ძლიერი იყო ეს ტანდემი ირაკლი ღარიბაშვილისა და ირაკლი კობახიძის სახით. ეს ჩვენი დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი მომენტია, ვინაიდან პარლამენტის წიაღიდან ხდება პრემიერის შერჩევა, მას შემდეგ, რაც ჩვენ გადავედით სრულად საპარლამენტო სისტემაზე.

ეს სრულიად ახალ დინამიკას შეიტანს პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობაში. განსაკუთრებით, ოპოზიცია უნდა იყოს განწყობილი პოზიტიურად, ვინაიდან მათთვის განსაკუთრებით საინტერესო, როდესაც მათი კოლეგა იქნება პრემიერ-მინისტრი.

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც ასეთი წარმატება ჰქონდა პრემიერ-მინისტრის სახით, და ძალიან დიდია მისი პირადი წვლილი იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებში, რაც ჩვენ მივიღეთ, მას ახლა პარტიის ხელმძღვანელობა ექნება ჩაბარებული. „ქართული ოცნების" დიდი ორგანიზმი არანაკლებ რთულია სამართავად, ვინაიდან საქმე გვაქვს პარტიის წევრებთან, პოლიტიკოსებთან. ეს განსხვავდება ხასიათით საჯარო სექტორის მართვისგან. ამიტომ ვფიქრობ, მისთვისაც საინტერესო იქნება ეს მიმართულება. მინდა, ორივეს ვუსურვო წარმატება. დარწმუნებული ვარ, რომ 2024 წლის არჩევნები იქნება ჩვენი გუნდის და ქვეყნის წარმატების კიდევ ერთი ეტაპი"... – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

კახა კალაძე: ირაკლი კობახიძეს უდიდესი როლი აქვს პარტიის აღმშენებლობაში!

დღეს უკვე ყველაფერი ოფიციალურად დადასტურებულია. ირაკლი ღარიბაშვილი არჩეულია პარტიის თავმჯდომარედ. მინდა წარმატებები ვუსურვო მას..

„პარტიას უკვე დაწყებული აქვს მომზადება 2024 წლის არჩევნებისთვის და ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ გუნდმა მიაღწიოს წარმატებას. ამ ყველაფერში „ქართული ოცნების" თითოეული მხარდამჭერის როლი არის უმნიშვნელოვანესი. დარწმუნებული ვარ, რომ იმ თანადგომას და მხარდაჭერას, რაც დღეს „ქართულ ოცნებას" აქვს, შეუძლია კონსტიტუციური უმრავლესობით მოვიდეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ასევე, ირაკლი კობახიძე წარდგენილია მთავრობის მეთაურად პრემიერი-მინისტრის რანგში. მინდა წარმატებები ვუსურვო მის გუნდთან ერთად. ძალიან მნიშვნელოვანი წელი გველოდება. ის სირთულეები, საფრთხეები და გამოწვევები, რაც იყო, არსად წასულა და დღესაც არსებობს. ერთიანი ძალით უნდა შევძლოთ მშვიდობის შენარჩუნება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ირაკლის უდიდესი როლი აქვს პარტიის აღმშენებლობაში სტრუქტურულ გაძლიერებაში და დარწმუნებული ვარ, როგორც პრემიერ-მინისტრი იქნება წარმატებული"...

ივანიშვილს და ღარიბაშვილს პრეზიდენტობა არაფერში არ სჭირდებათ!!!

სახელისუფლებო გუნდში განხორციელებული როტაციის შემდეგ, ოპოზიციაში და ზოგიერთ ანალიტიკურ წრეებში გაჩნდა მოსაზრება, რომ შესაძლოა, საპრეზიდენტო კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი ან ირაკლი ღარიბაშვილი გახდეს. ოპოზიციაში უფრო ფიქრობენ, რომ ივანიშვილს პრეზიდენტობა დასავლეთიდან შესაძლო დასანქცირების თავის დასაზღვევად სჭირდებოდეს. ანალიტიკურ წრეებში კი გამორიცხავენ, რომ ახლა ამერიკა ივანიშვილის დასანქცირებაზე ფიქრობდეს. მათი აზრით, ბოლო დროს, ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ შეიცვალა და ეს ნაკლებ მოსალოდნელია. თუმცა ექსპერტების ნაწილი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ შესაძლოა, ამ თანამდებობაზე ირაკლი ღარიბაშვილის წარდგენა მოხდეს.

„გირჩის" ლიდერი, **იაგო ხვიჩია** ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილს პრეზიდენტობა მოუნდება, ხმოსნების მიერ თანამდებობაზე დასმა არ მოუნდება და სალაპარაკო რომ არ გახდეს, პირდაპირი არჩევის წესს დათანხმდება.

„თუ ივანიშვილს პრეზიდენტობა უნდა, როგორ შეიძლება, მას ეკადრებოდეს, ხალხის გარდა ვინმეს არჩევა... ხალხის მიერ არჩეული, პირდაპირ დაბრუნება არ ჯობია, ვიდრე კობახიძის ან ღარიბაშვილის მიერ არჩეულ ან ლეგიტიმაციამიცემულ პირად ყოფნას?!

არ გამოვრიცხავ, რომ რადგან ის პოლიტიკიდან ვერ გადის, ბარემ ხალხმა აირჩიოს და სალაპარაკო არ გახდეს ეს თემა. მონაცემები მაქვს-თქო, რომ ივანიშვილი ამას აპირებს, არა! ყოველ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტობა მოუნდებოდა, ხმოსნების მიერ მიღებული პრეზიდენტობა არ ენდომება ბატონ ივანიშვილს", – აცხადებს **ხვიჩია.**

„სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერიც არ გამორიცხავს, რომ ბიძინა ივანიშვილს პრეზიდენტობის სურვილი ჰქონდეს, რადგან შესაძლოა, ის ფიქრობდეს, რომ ოფიციალური თანამდებობა მას იმუნიტეტს შესძენს.

„შესაძლოა, ფიქრობდეს, რომ პრეზიდენტის სტატუსი და იმუნიტეტი უფრო მეტად დაიცავს მის უსაფრთხოებას. ფიქრობს, ალბათ, რომ ამით უფრო ფორმალური გახდება მმართველობა და უფრო ლეგიტიმური იქნება მისი წარმოდგენით", – აცხადებს **პაატა მანჯგალაძე**.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** for.ge-სთან ამბობს, რომ ბიძინა ვანიშვილს პრეზიდენტობა არაფერში სჭირდება. მისი თქმით, დღეს პრეზიდენტობის ინსტიტუტი სუსტია, ივანიშვილი პარტიის საპატიო თავმჯდომარეა და მას თუ ისევ სურვილი ექნება პოლიტიკიდან გასვლის, ადვილად გავა.

„პრეზიდენტის თანამდებობა ივანიშვილისთვის სრულიად შეუფერებელია. ვიცნობ მას, როგორ არ უყვარს პოლიტიკური თანამდებობები, მისთვის წარმოუდგენელი იქნება სადღაც სხვა ქვეყნებში გაემგზავროს, რაღაცა შეხვედრები გამართოს, სამძიმებრზე იაროს, ცერემონიებზე და ა.შ. ის არ არის ამ ტიპის ადამიანი, რომ მისთვის მსგავსი თანამდებობა მისაღები იყოს, ან კომფორტის ზონას წარმოადგენდეს", – ამბობს **ზაქარეიშვილი.**

რაც შეეხება ოპოზიციის ვერსიას, რომ ეს თანამდებობა შესაძლოა ივანიშვილის სჭირდებოდეს დასავლეთიდან სანქციებისთვის თავის დაზღვევის მიზნით, ზაქარეიშვილი ფიქრობს, რომ სანქციებს, რომელიც დასავლეთმა მიზნესმენებს დაადო, არავის წინააღმდეგ არ უმუშავია. მით უმეტეს, დასავლეთი ივანიშვილის მიმართ რადიკალური ქმდებებისგან თავს იკავებს.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძეც** მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილს არ ექნება სურვილი, რომ პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავოს. საყვარელიძე for.ge-სთან ამბობს, რომ ივანიშვილი ქმედითი პიროვნებაა და ის ასე სავარძელში უფუნქციოდ ყოფნას ვერ აიტანს.

„პრეზიდენტობა არ არის ის თანამდებობა, რომელიც ივანიშვილისთვის არის შესაფერისი და საინტერესო. რაც შეეხება ოპოზიციის არგუმენტს, თითქოს ეს თანამდებობა სჭირდება თავის დასაზღვევად, რომ არ დაასანქცირონ, არასწორი მგონია. ამერიკამ ბოლო დროს, საქართველოს მიმართ პოლიტიკა რადიკალურად შეცვალა. ამიტომ ძალიან მეეჭვება, რომ სანქციების თემა ახლა საქართველოს მიმართ აქტუალური იყოს და მით უმეტეს ივანიშვილის მიმართ. სანქციებზე დასავლური პოლიტიკური წრეები აღარ საუბრობენ, ეს ისევ აქტუალური მხოლოდ ქვეყნის შიგნით ოპოზიციისთვის არის. ამიტომ ვფიქრობ, რომ ივანიშვილს პრეზიდენტობა არც ერთი ლოგიკით არაფერში სჭირდება", – ამბობს **საყვარელიძე.**

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, შესაძლოა პრეზიდენტობის კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილი განიხილებოდეს, საყვარელიძე ამ ვერსიას არ იზიარებს. მისი აზრით, ეს თანამდებობა შესაფერისი არც ღარიბაშვილისთვის არ არის. ის არის ენერგიული ახალგაზრდა კაცი, რომლის რესურსიც უფრო სხვა მიმართულებით იქნება გამოყენებული. მისი აზრით, ეს პოსტი ზურაბიშვილისთვის ნამდვილად ზედგამოჭრილი იყო, თუმცა ბოლოს მასაც მობეზრდა და უფრო მეტი ამბიცია გაუჩნდა, რაც საბოლოოდ კონსტიტუციის დარღვევად დაუჯდა.

ლიკა ბერიკაშვილი

პარლამენტში გამოთავისუფლებულ ადგილს გიორგი ბარვენიშვილი დაიკავებს

გიორგი ბარვენიშვილი მმართველი პარტიის პრო-პორციულ საარჩევნო სიაში 71-ე იყო. ირაკლი კობახიძე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად დღეს წარადგინეს და გიორგი ბარვენიშვილი პარლამენტში სწორედ აღნიშნულის შედეგად გამოთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს.

რაც შეეხება ირაკლი ჩიქოვანის თავდაცვის მინისტრობის გამო გამოთავისუფლებულ საპარლამენტო მანდატს, როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განმარტა, ჩიქოვანი მაჟორიტარული სიით იყო არჩეული, საარჩევნო წელს შუალედური არჩევნები არ ტარდება, შესაბამისად, ზუგდიდი წელს მაჟორიტარი დეპუტატის გარეშე იქნება.

ზურაბ სონელიძე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მედლით დაჯილდოვდა

2024 წლის 30 იანვარს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ზურაბ სონელიძე „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების სისტემისა და მეცნიერების განვითარებაში, საუნივერსიტეტო დიპლომატიის კონცეფციის შემუშავებისა და მშვიდობის მშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, უმაღლეს საბჭოსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მედლით დაჯილდოვდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

გილოცავთ, ბატონო ზურაბ!

პროფესორი, მწერალი, „ენჯეოშნიკი“, პოლიტიკოსი და... პრემიერიც?

45 წლის ირაკლი კობახიძე არის ლექტორი, პროფესორი, მოუცლელი მწერალი, ყოფილი „ენჯეოშნიკი“ და ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პოლიტიკოსი, რომელიც ოფიციალურად დღემდე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეა. გუშინ ის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად დაასახელეს. ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მეთაურის პოსტი მოულოდნელად დატოვა. ოპოზიციურ და სამთავრობო მედიაში იუწყებიან, რომ მომავალი პრემიერი კობახიძე იქნება. მოკლედ გიამბობთ, რა ვიცით ირაკლი კობახიძეზე, აცხადებს „რადიო თავისუფლება“ და გვთავაზობს მომავალი პრემიერის პორტრეტს..

მაგისტრი, ლექტორი, დოქტორი, პროფესორი

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დიუსელდორფის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, დიუსელდორფის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი... აქ შევჩერდები, მევრს არ გავაგრძელებ, გახლავართ მე, ირაკლი კობახიძე, სიის მესამე ნომერი“, – ასე წარადგინა ირაკლი კობახიძემ საკუთარი თავი 2020 წელს, როდესაც „ქართული ოცნების“ საპარლამენტო საარჩევნო სია გაასაჯაროვა.

აკადემიური საქმიანობა მის ბიოგრაფიაშიც დიდ ნაწილს იკავებს და მის ახლანდელ ცხოვრებაშიც. კობახიძე, რომელიც კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტია, 2005 წლიდან კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ჯერ ასისტენტ-პროფესორი იყო, შემდეგ ასოცირებული პროფესორი, შემდეგ კი სრული პროფესორი. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი 2006 წელს მიენიჭა გერმანიაში დიუსელდორფის უნივერსიტეტში.

2008 წელს გამოსცა სახელმძღვანელო: **„პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი“**; 2019 წელს კი – **„კონსტიტუციური სამართალი“.**

წლების შემდეგ ის საკუთარ სახელმძღვანელოებში გამოხატულ აზრებს დაუპირისპირდება:

- **2008 წლის წიგნში დაუშვებელს უწოდებს პოლიტიკური პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტას პარლამენტისთვის ბოიკოტის გამოცხადების გამო, 2020 წელს კი თვითონ გაამართლებს კანონპროექტს, რომელიც სწორედ ამას ითვალისწინებს;**
- **2019 წლის წიგნში ის „არაკონსტიტუციურს“ უწოდებს უმაღლესი პოლიტიკური პირების მხრიდან ისეთ განცხადებებს, რომლებიც ქვეყნის დასავლური კურსიდან გადახვევას შეეხება; 2023 წელს კი კბილებით დაიცავს „უცხოეთის აგენტების“ შესახებ კანონპროექტს, რომელიც ევროკავშირისა და აშშ-ის შეფასებით, საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს აზიანებს.**

მწერალი - „ედელვაისის“ ძიებაში

გედი მხატვრულ ლიტერატურაშიც სცადა. გერმანიაში სტუდენტობისას დაწერა „ზღაპარი პატარა დიდებისთვის“, რომელიც პირველად 2009 წელს გამოსცა. წიგნის სათაურია „დაბრუნება ტერანუოვაში“.

გამოგონილი ქალაქი ტერანუოვა – ლათინურად „ახალი მიწა“ – ჩრდილოეთ იტალიაში, ალპებშია. ლეგენდის თანახმად, იქ ხარობს ედელვაისი – „თეთრზე უთეთრესი“ უკვდავების ყვავილი. ედელვაისის საძებნელად წასული პერსონაჟი, ჯოაკინო სარტი, უკვდავების ყვავილს ვერა, მაგრამ ოქროს საბადოებს კი პოულობს. ეს აღმოჩენა სარტისა და თანამოაზრეებს ჯადოსნური ყვავილის ისტორიას დაავიწყებს.

მატერიალისტური აქაც სძლევს იდეალისტურს.

„წიგნი სწორედ ამაზეა – შეძლო და დაინახო ზღაპარი რეალურ ცხოვრებაში, წაშალო ზღვარი ოცნებასა და რეალობას შორის“, – წერს ავტორი წინასიტყვაობაში („ოცნებას ამ შემთხვევაში არ აქვს პოლიტიკური დატვირთვა“, – იტყვის კობახიძე ათი წლის შემდეგ, 2019 წელს). რომანის ერთ-ერთ ეპიზოდში ქალაქს ეწვევა ოთხი რომაელი, რომლებიც „ათ სკოლის ბიჭს, რომელსაც ყველაზე მეტი წიგნი ექნება წაკითხული“, სამუშაოზე აყვანას დაჰპირდებიან – კარგი პირობებით:

„სამი თვის განმავლობაში თითოეული ერთ მეწველ ძროხას, ათ ქათამს, სამ ჰექტარ სათეს მიწას და ას კილოგრამ სათესლე სიმინდს მიიღებს“.

– „კი მაგრამ, ამის ფასი რა უნდა გავაკეთოთ?“ – ინტერესდება ერთ-ერთი პერსონაჟი.

– „წყალი უნდა ნაყოთო“, – უპასუხებენ.

ბიჭებიც, „რკინის ნებისყოფის წყალობითა და გულუხვი გასამრჯელოს იმედით“, დღეში რვა საათს ატარებენ ქვასანაყებით მდინარეში წყლის ნაყვაში.

„სხვა რა გზა ჰქონდათ, უნდა მოეთმინათ“.

„ტერანუოვას“ მრავალ პერსონაჟს შორის მკითხველი თავიდანვე იცნობს სიგიზმუნდ მესაას, დონ კონსეოს ერთგულ და დაუზარელ მსახურს. მას ავტორი ასე ახასიათებს: „ოსტატის ნებისმიერ ნათქვამზე ყურადღების გამახვილება სიგიზმუნდს თავის პირდაპირ მოვალეობად წარმოედგინა“. წიგნი 2018 წელს ხელახლა გამოსცეს. ამბობს, რომ რაც პოლიტიკაშია, „ლიტერატურული მისწრაფებებისთვის“ დრო არ რჩება.

„ენჯეოების“ ყოფილი დასაქმებული „ენჯეოების“ წინააღმდეგ

პოლიტიკაში შესვლამდე დიდხანს მუშაობდა არასამთავრობო სექტორში:

- **2000-01 წლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საზოგადოებრივი განათლების პროექტის რეგიონული კოორდინატორი იყო;**
- **2006-2014 წლებში კი გაეროს განვითარების პროგრამაში (UNDP) მუშაობდა პროექტის ექსპერტად და პროექტის მენეჯერად.**

ეს ორივე ორგანიზაცია დღემდე მნიშვნელოვანი დონორია არასამთავრობო სექტორში, რომელსაც „ქართული ოცნება“ ხშირად საყვედურობს და თავს ესხმის – ვერბალურად. 2023 წელს, როდესაც „ოცნების“ მთავრობის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური „ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის“ სცენარზე კიდევ ერთხელ ალაპარაკდა, სწორედ ამერიკულ USAID-ს დაადო ხელი.

კობახიძემ ყოფილ დამსაქმებელს უსაყვედურა და განაცხადა:

„დაგვჭირდება განმარტებების მიღება, რატომ დაფინანსდა USAID-ის მიერ ტრენინგი, რომლის პირდაპირი მიზანი იყო საქართველოში რევოლუციის მომზადება“. „ოცნების“ ეს რიტორიკა, აშშ-ის წინა თუ ახალი ელჩების მიერ „სასაცილოდ“ მოხსენიებისა და მტკიცე უარყოფის მიუხედავად, დღემდე არ გამქრალა. ირაკლი კობახიძე, რომელსაც 9 წელი მაინც აქვს გატარებული არასამთავრობო სექტორში, ხშირად გამოდის „ენჯეოების“ – ის თავად იყენებს ამ ტერმინს დამაკნინებელი კონოტაციით – წინააღმდეგ. არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოს „ომში ჩათრევის მცდელობების“ შესახებ დეზინფორმაციულ კამპანიაშიც აქვთ ადგილი გამოყოფილი.

„მდიდარი „ენჯეოები“ არც საქართველოს, არც ამერიკის და არც ევროპის ინტერესებს არ ემსახურებიან. სინამდვილეში, ისინი ემსახურებიან „გლობალურ ომის პარტიას“, რომლის მთავარი მიზანი საქართველოს უკრაინიზაციაა“, – ირაკლი კობახიძე, 2023 წლის 30 ოქტომბერი.

პოლიტიკაში - ოჯახური ტრადიციით

UNDP-დან წამოსვლის შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ უკვე ოფიციალურად გადავიდა.

შეიძლება ითქვას, პოლიტიკა ოჯახური საქმეა: მამა, გიორგი (გია) კობახიძე მესამე-მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან“; იყო პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეც.

მოგვიანებით გია კობახიძე ნინო ბურჯანაძის პრორუსულად მიჩნეული „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდა. პარტიაში იყო 2015 წლამდე. როდესაც შვილი „ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის პოსტზე წარადგინეს, „დემოკრატიული მოძრაობა“ და პოლიტიკა დატოვა – მიზეზად „სახელმწიფო ინტერესებისა და ეთიკის ნორმების პატივისცემა“ დაასახელა. ამჟამად გია კობახიძე საქართველოს რაგბის კავშირშის გამგეობის წევრია. რაგბის კავშირის პრეზიდენტი კი ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ბიზნესმენი, სოსო ტყემალაძეა. 2021 წელს ის საპროტესტო დემონსტრაციისა და დაპირისპირების ფონზე აირჩიეს.

აღმასრულებელი მდივანი

როდესაც უმცროსი კობახიძე 2015 წელს „ოცნებაში“ აღმასრულებელ მდივნად წარადგინეს (ამ პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავი ზვიად ჯანყარაშვილი შეცვალა), მან თქვა: „როდესაც შეიქმნა პარტია „ქართული ოცნება“, ჩართული ვიყავი ანალიტიკურ მუშაობაში, სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელი ვიყავი ჯერ კიდევ (2012 წლის) საპარლამენტო არჩევნებამდე და ამის შემდგომ მქონდა მუდმივი კონსულტაციები სხვადასხვა ინტენსივობით პარტიასთან“.

თუმცა აქტიურად სწორედ 2014-15 წლებში გამოჩნდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, როდესაც „ოცნება“ გიორგი კვირიკაშვილის ახალი გუნდით წარდგა ამომრჩევლის წინაშე, საარჩევნო სიის მესამე ნომერი იყო; ამავდროულად, იყო პარტიის საარჩევნო შტაბის უფროსის, კახა კალაძის მოადგილე. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე უკვე თავად იყო საარჩევნო შტაბის უფროსი.

პარლამენტის სპიკერი

„ოცნების“ გამარჯვების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გახდა. იმ არჩევნებში „ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა, რის შემდეგაც კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარეობასთან ერთად, სათავეში ედგა საკონსტიტუციო კომისიას, რომელმაც 2017 წელს მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს კონსტიტუცია.

2019 წლის 20 ივნისს პარლამენტის სპიკერის სავარძელი რუსეთის დუმის დეპუტატმა, სერგეი გავრილოვმა დაიკავა, რასაც მღელვარე საპროტესტო დემონსტრაციები მოჰყვა. დემონსტრაციები ძალის გამოყენებით დაარბიეს - რასაც რამდენიმე ადამიანის თვალი ემსხვერპლა. კობახიძე დარბევის მეორე დღეს, 21 ივნისს, პოსტიდან გადადგა. მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, რომლის გადადგომასაც ითხოვდნენ დემონსტრანტები, მალე პრემიერი გახდა.

- **კობახიძე 2020 წელს, როდესაც გახარია პრემიერად დაასახელეს: „ბუზი ბევრი ბზუის, მაგრამ გახარიასთან ყველა ტყუის“.**
- **კობახიძე, მას შემდეგ, რაც გახარია პრემიერის პოსტიდან გადადგა და „ოცნება“ დატოვა: „გუნდის შიგნით მისი მეტსახელი იყო „ბოლი“; „ვიღაცემს ეგონათ კერკეტი კაკალი, აღმოჩნდა კერკეტი კვერცხი“.**

„ოცნების“ თავმჯდომარე

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ ირაკლი კობახიძე 2021 წლის 16 იანვარს აირჩიეს, – რასაც წინ უძღოდა ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკიდან მეორედ წასვლის შესახებ განცხადება.

ამ აზრით, ის გახდა ბიძინა ივანიშვილის მემკვიდრე.

მის თავმჯდომარეობას დაემთხვა რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში, რის შემდეგაც „ოცნების“ რიტორიკა უფრო ცხადად ანტიდასავლური გახდა. შიდა პოლიტიკაში პოლარიზაციამ უკიდურეს ნიშნულებს მიაღწია. **„ჩვენი პრინციპი მარტივია: არც ერთი ნაცი არც ერთ ორგანოში. ეს არის ჩვენი მარტივი პრინციპი და ამ პრინციპით ვიმოქმედებთ მომავალშიც“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ 2023 წლის მაისში.

შეურიგებლობა პოლიტიკურ ოპოზიციასთან, დეზინფორმაციის კამპანია „ომში ჩათრევასა“ და „სახელმწიფო გადატრიალებაზე“, მედიისა და არასათავრობოების წინააღმდეგ „უცხოეთის აგენტების“ კანონპროექტი, კამპანია აშშ-ის ელჩის წინააღმდეგ – ეს ყველაფერიც მისი თავმჯდომარეობის პერიოდს ახასიათებდა.

რას აკეთებს ახლა?

გოლო პერიოდში ორი მნიშვნელოვანი ვიზიტი ჰქონდა საქართველოს ახალ სტრატეგიულ პარტნიორებთან: უნგრეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

9 დეკემბერს, ევროკავშირის ლიდერთა სამიტის წინ, 5-დღიანი ვიზიტი დაიწყო უნგრეთში. იქ ყოფნისას განაცხადა, რომ უნგრეთი აუცილებლად დაუჭერს მხარს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ასეც მოხდა. უნგრეთი მხოლოდ უკრაინის შემთხვევაში გაჯიუტდა. 2024 წლის 14-20 იანვრის პერიოდში ირაკლი კობახიძე ხელმძღვანელობდა „ქართული ოცნების“ დელეგაციას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. კობახიძის თანახმად, გარდა ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისა, – რაზეც აქამდე ტრადიციულად იყო აქცენტები, – ოფიციალურ შეხვედრებზე საუბარი პოლიტიკურ თანამშრომლობასაც შეეხო. მმართველ პარტიებს შორის ურთიერთობების გაღრმავებასაც საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებამ დაუდო საფუძველი. დელეგაციაში, კობახიძესთან ერთად, იყვნენ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძე და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ჩიქოვანი.

ლუკა პერტაია

რაცა გვყოფს კი არა, რაც გვაერთიანებს, ეს არის, ეს არის, ეს არის მთავარი!..

დღეს, როცა მთელი გნიასია ატეხილი ღარიგაშვილის გადადგომაზე და კოგახიძის შესაძლო გაპრემიერებაზე, ვფიქრობ, რითი დავიწყო წერა. არც ვინმეს გადადგომაა უცხო ჩვენი ხალხისთვის და არც ვინმეს დანიშვნა ნეგისმიერ თანამდებობაზე. მით უფრო, როცა გიძინა ივანიშვილის მაგალითი წინ გვაქვს.

როდესაც გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის ლიდერი გამარჯვებიდან ერთი წლისთავზე გადადგა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა.

არც იმ ავ და ბოროტ ენებს მინდა ავყვე, ორი ადამიანის დაპირისპირება რომ გამოიგონეს და ამ ეგრეთწოდებულ ქიშპობაზე ატეხილი ვაი-ვიშით რომ უნდათ ქულების დაწერა.

არც ბრმა ვარ, რამეს ვერ ვხედავდე.

და არც სულელი, მერაბიშვილის ხელისგიჭების მიერ შეთხზულ თეორიებზე პასუხის გაცემით დრო დაგაკარგვინოთ, ჩემო ძვირფასებო.

თან ვფიქრობ.

არცერთი თანამდებობა არაა მარადიული.

რა მნიშვნელობა აქვს, როგორ და რა სტატუსით დგახარ საკუთარი ქვეყნის სადარაჯოზე.

მთავარია, სამშობლოს რიგით ჯარისკაცად გამოადგე და დანარჩენი ლირიკაა.

ხან ახვალ, ხან დაბლა მოგინდება ჩასვლა.

მერე რა?!

მერე რა, თუ ერთი წავა და სხვა მოვა?

ან იგივე მეორედ ან მესამედ დაბრუნდება, თუ ქვეყანას დასჭირდება?

გნებავთ, – მეხუთედ...

გინდათ როტაცია დაარქვით ამას და გნებავთ, ახალი სუნთქვა...

რა იცვლება, თუ სამშობლოს სიყვარული უდევს საფუძვლად ნებისმიერ მსგავს ნაბიჯს?

არც არაფერი...

ჰოდა, ვფიქრობ, რითი დავიწყო წერა.

ირაკლი ღარიბაშვილის წარმატებების ჩამოთვლით თუ ირაკლი კობახიძის სტრატეგიული გათვლების წარმატებული ფინალით?!

ირაკლი ღარიბაშვილის ეროვნული, კონსერვატიული, ქართული(!) სიტყვით აღსავსე გამოსვლებიდან ციტირებით თუ ირაკლი კობახიძის მიერ არაერთგზის გაცხადებული სიმართლის და ნაცებისთვის პირში მიხლილი ჭეშმარიტების შეხსენებით?!

ფაქტია, ორივე ირაკლის ხსენებაზე მასხარა ხაგეიშვილის ფანებს და სადისტი მეგისქარდავას მოკუნტრუშე თაყვანისმცემლებს კონტუზია ეწყებათ და ისიც ფაქტია, რომ ღარიბაშვილის პრემიეროგის დროს დაპატიმრებულ ჯალათ სააკაშვილს არც კოგახიძის პრემიეროგის დროს ელის ია-ვარდით მოფენილ ხალიჩაზე სიარული.

დიახ, ესეც ფაქტია და გვერდს ვერ ავუვლით:

საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს;

ირაკლი ღარიბაშვილის ხელმოწერა ოქროს ასოებით ჩაიწერა ისტორიაში, როცა ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი;

ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს მივიღეთ რეკომენდაცია ევროკავშირის სტატუსზე;

ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს ყველა უცხოელმა პარტნიორმა ნათლად გააცნობიერა, რომ ქართველი ერის ნება არის უმთავრესი და უპირველესი ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას და არა ხროვად შეკრებილი ჯალათების ახირება!

ირაკლი კობახიძის მიერ გაუღერებულმა სიმართლემ არაერთგზის „მოჭრა“ ყური ნაცსექტას;

სწორედ ირაკლი კობახიძემ მოუგო საკონსტიტუციო სასამართლოში დავა საქართველოს პრეზიდენტს და აწ უკვე ჯალათი სააკაშვილის სექტის პირუთვნელ ადვოკატს სალომე ზურაბიშვილს;

ირაკლი კობახიძემ თაღლითი ხაზარაძის პარტნიორი კვირიკაშვილისა და ხუხაშვილის რჩეული მაზაკვალი გახარიას მიერ დაქუცმაცებულ პარტიას ახლებური სუნთქვა შესძინა და ბოლო წლებში ჩატარებული რამდენიმე არჩევნების გამარჯვებაში სწორედ მისი დიდი წვლილია;

კიდევ ბევრი რამ უკავშირდება ირაკლის სახელს.

ღარიბაშვილსაც და კობახიძესაც.

დიახ, ბოლო წლებში, თუკი რამ მოხდა დადებითი საპარლამენტო და სამთავრობო უწყებათა მუშაობით, უპირველესად ღარიბაშვილისა და კობახიძის დამსახურებაა.

და რაღა თქმა უნდა, იმ ადამიანების დამსახურებაა, ბეწვის ხიდზე, დაუსრულებელი შანტაჟისა და ბულინგის ფონზე რომ უწევდათ მუშაობა მთელი ამ წლების განმავლობაში.

ყველამ თანაბრად გაუძლო არნახულ ბულინგს ვითომ მედიისა და აუტირებული, ე.წ. ოპოზიციონერების მხრიდან.

დიახ, მამუკა ხაზარაძის, თემურ ალასანიას, მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის ჯიბის ჟურნალისტები არც ღარიბაშვილის შვილებს ინდობდნენ და არც კობახიძის ოჯახის მიმართ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სიყვარულით.

* * *

არაერთგზის მითქვამს, უმადურობა ცუდი მეგობარია-მეთქი და ახლაც იმავე აზრზე ვარ.

დიახ, რაც ამ წლების განმავლობაში შეძლო ირაკლი ღარიბაშვილმა, ბევრი ნამდვილად ვერ შეძლებდა.

* * *

დიახ, გადადგა პრემიერი და ავტომატურად, გადადგა მთავრობაც.

არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რა პოზიციაზე იქნება ხვალ, ან იქნება თუ არა საერთოდ სადმე, – მადლობა დამსახურებულად ეკუთვნის მთელ გუნდს.

* * *

დიახ, მადლობა ეკუთვნის თითოეულ იმ ადამიანს, რომლებმაც ენერგია არ დაიშურეს, აგურს აგური დააედეს და საქართველო სწორედ ერთიანი ძალისხმევით იხსნეს პროვოკაციულ ომში ჩათრევისგან, არ დაუშვეს მეორე ფრონტის გახსნა და რუსეთ-უკრაინის ომში მსხვერპლშეწირვის ხარაკირი არ ჩაუტარეს ჩვენს ქვეყანას.

დიახ, მადლობა თითოეულ მათგანს – სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტით დაწყებული და პრემიერის ადმინისტრაციით დამთავრებული.

მინისტრებით დაწყებული და რიგითი სპეციალისტებით დამთავრებული.

დიახ, მადლობა რუტინული შრომისთვის, თეთრად გათენებული ღამეებისთვის, არნახული ლანძღვისა და აღვირახსნილი შეურაცხყოფების მოთმენისთვის!

დიახ, მადლობა და არავითარი „მაშასადამე“!

* * *

ერთი კია:

ორივე ირაკლის რუტინული სამუშაო ელის წინ.

ერთს – მთავრობაში და მეორეს – პარტიაში.

არჩევნებიც მოახლოებულია და უმადურთა არმიაც იმატებს და დაკლებით ნამდვილად არ იკლებს.

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, სამწუხაროდ და სავალალოდ, დღეს ნამდვილი ოპოზიცია სანთლითაა საძებარი და თუ „პატრიოტთა ალიანსს“ არ ჩავთვლით, ოპოზიციური ნიშა ცარიელია.

დიახ, ოპოზიციის ნაცვლად სახეზეა თავზეხელაღებულთა ბანდა – სიბინძურეების შეთხზვითა და გავრცელებით დაკავებული ვითომ ჟურნალისტთა არმია, მასხარებისა და „კლოუნების“ თავშესაფრად ქცეული ნაცმოძრაობა, წიწვოვან მცენარეთა სახელით შემკული „დაბოლილ“ „პოლიტიკოსთა“ ერთობა, თაღლითბანკირთა და მილიონის შოვნის მსურველთა სექტა, მაზაკვალების, ვიგინდარებისა და ყველა ბანაკში ერთი ადგილის მოთამაშეთა გილდია...

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

კოლექტიურ „ანიწითლიძეებად“ და „ჟუნორვაშაძეებად“ არიან ქცეულნი და ესენი, უსირცხვილოდ, მაინც აძლევენ თავს უფლებას, ხალხს ბიძინა ივანიშვილზე, ირაკლი ღარიბაშვილზე და ირაკლი კობახიძეზე ეღლიცინონ.

არაფერია.

„იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის.“

„წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან.“

„აღდგომა და ხვალეო.“

მარა, „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო“ და ააფრინონ ალალი, თუ უნდათ.

შემოდგომაც მალე მოვა.

არჩევნების შედეგებსაც დაითვლიან და მარტივად დაასკვნიან – „ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო...“

* * *

ამ წერილს დართული ფოტო კი, ალბათ, სიმბოლურიცაა დღევანდელ დღეს...

და ბევრისმთქმელიცაა დიდი კაცის, გიზო ნიშნიანიძის სტრიქონებიც:

„გათითოკაცება გვაოხერტიალებს,
ვიცი ამ ცხოვრების მე ავან-ჩავანი.
რაცა გვყოფს კი არა,
რაც გვაერთიანებს –
ეს არის, ეს არის, ეს არის მთავარი!
თუ ასე არ ფიქრობ,
ძალიანაც ცდები!
ცუდად გამსარჯე და მრუდად გაისარჯე,
შენი გამარჯვებით
მე არ დავმარცხდები,
ჩემი დამარცხებით
შენ ვერ გაიმარჯვებ.“

P. S.

ნაცებო და ნაცმაცუნებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!

შეერთდით და ამ ფოტოს შემხედვარე, – „გასკდით“ გულზე.

გიორგი მამაცაშვილი

შალვა პაპუაშვილი: იარაღის ლულის ქვეშ...

საქართველომ, განსაკუთრებით ბოლო ორ წელიწადში, ფაქტობრივად, იარაღის ლულის ქვეშ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოს, რაც ჩვენი ქვეყნის გარშემოა, შეძლო, რომ ერთი სანტიმეტრითაც კი არ დაეთმო ქვეყნის ინტერესები, შეენარჩუნებინა მშვიდობა და უსაფრთხოება ქვეყნის შიგნით და, მეორე მხრივ, გვქონოდა უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდა, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა „იმედის“ ეთერში განაცხადა.

პაპუაშვილის თქმით, წინაა ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები და საჭიროა უფრო სხვანაირი გადანაწილება შიდა პარტიული რესურსების.

„ირაკლი ღარიბაშვილმა თავად ახსნა საკუთარ განცხადებაში მიზეზები, რატომაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. მათ შორის იმ შედეგებთან დაკავშირებით ისაუბრა, რომლებიც ამ სამი წლის განმავლობაში ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრობით ჰქონდა საქართველოს და ახლა, მისი შეფასებითაც, არის ეტაპი, როდესაც გარკვეული როტაცია იქნებოდა მნიშვნელოვანი. მათ შორის, იმ მიზეზის გამო, რომ წინ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები და საჭიროა უფრო სხვანაირი გადანაწილება შიდა პარტიული რესურსების. შედეგები, რაც ჩვენ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრობით გვაქვს, არის ის, რომ საქართველომ, ფაქტობრივად, განსაკუთრებით ბოლო ორ წელიწადში, იარაღის ლულის ქვეშ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოს, რაც ჩვენი ქვეყნის გარშემოა, შეძლო, რომ ერთი სანტიმეტრითაც კი არ დაეთმო ქვეყნის ინტერესები და შეენარჩუნებინა მშვიდობა და უსაფრთხოება ქვეყნის შიგნით; და მეორე, გვქონოდა უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდა. მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა იმაში, რომ მისი ძალიან მკაფიო პოზიციები იყო განმსაზღვრელი ამ გზაზე“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

წერეთლის გამზირზე საავტომობილო მოძრაობა სრულად აღდგა

აპაკი წერეთლის გამზირზე გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია დასრულდა და საავტომობილო მოძრაობა ორმხრივად აღდგა. რეაბილიტაციის შედეგებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე მის მოადგილესთან, ირაკლი ბენდელიანთან ერთად ადგილზე გაეცნო.

კახა კალაძის განცხადებით, დაპირება გზის გახსნასთან დაკავშირებით შესრულებულია, დარჩენილი, მიმდინარე სამუშაოები კი მარტში დასრულდება.

„საზოგადოებას დავპირდით, რომ იანვრის ბოლოს სამუშაოები დამთავრებული იქნებოდა. დღეს პირველი თებერვალია და საგზაო ნაწილში დასრულდა სამუშაოები, ტრანსპორტის გადაადგილება ორმხრივად, თავისუფლად არის შესაძლებელი. ჩვენი დედაქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი პროექტების განხორციელება, სადაც სრულად იცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები. არ მინდა შეცდომაში შევიდეს საზოგადოება და იფიქროს, რომ პროექტი მთლიანად დასრულდა. აქ საგზაო ნაწილზე იყო ლაპარაკი.

პარალელურად მიმდინარეობს ტროტუარების მოწყობა, გამწვანების სამუშაოები. რაც შეეხება გარე განათების ბოძებს, გამზირის ერთ მხარეს დამონტაჟებულია, ხოლო მეორე მხარეს მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაოები. გარდა ამისა, ეზოებში შესასვლელები მოწესრიგდება, დაიგება ასფალტი, გზა დაიხაზება, ახალი შუქნიშნები დაყენდება. ყველაფერი გაკეთდება ისევე, როგორც სხვა გამზირების შემთხვევაში. ძალიან ლამაზი გამზირი იქნება, როდესაც მარტში მთლიანად დასრულდება სამუშაოები“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, გზის შუა ნაწილში განთავსდება საავტომუსო ზოლი, რათა საზოგადოებრივ ტრანსპორტს თავისუფლად და სწრაფად გადაადგილების შესაძლებლობა ჰქონდეს. სრულდება უსაფრთხოების კუნძულების მოპირკეთება, რის შემდეგაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები დამონტაჟდება. უახლოეს პერიოდში დასრულდება შუქნიშნების მონტაჟი და გზის სავალი ნაწილის დახაზვის სამუშაოები. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ტროტუარების მოწყობის და გამწვანების სამუშაოები, ასევე, მიწისქვეშა ნარჩენშემკრები ურნების მონტაჟი, რომელიც მარტში დასრულდება.

გულწრფელი მადლობა შს მინისტრს

„განსაკუთრებული მადლობა, მინდა, გადავუხადო საპატრულო პოლიციას, შინაგან საქმეთა მინისტრს ვახტანგ გომელაურს. ისინი მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენთან თანამშრომლობდნენ. ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შეზღუდვები და პრობლემა რაც იყო აქ გადაადგილების თვალსაზრისით, მაქსიმალურად შეემსუბუქებინათ მოსახლეობისთვის“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ წერეთლის გამზირის სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელებაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა ყველა კომპანიას და მათ თანამშრომლებს.

მეტროსადგურ „ვარკეთილისა“ და „ავლაბრის“ რეაბილიტაცია ზაფხულის ბოლოს დასრულდება

– ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ შესაბამისი კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული მეტროსადგურის რეაბილიტაციის სურვილს გარკვეული დროის განმავლობაში არცერთი კომპანია გამოთქვამდა, რის გამოც პროცესი დროში გაიწელა.

„მეტროსადგურ „ვარკეთილში“ სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნული სადგურის რეაბილიტაციის პროცესში, გარკვეული დროის განმავლობაში პრობლემა ფიქსირდებოდა, რადგან არცერთი კომპანია არ გამოთქვამდა სურვილს, ტენდერში მონაწილეობა მიეღო. სავარაუდოდ, არავის უნდოდა პასუხისმგებლობის აღება ამხელა მნიშვნელობის პროექტის განხორციელებაზე, თუმცა მოიძებნა კომპანია, რომელიც ამუამად ასრულებს სამუშაოებს და რეაბილიტაცია ზაფხულის ბოლოსთვის დასრულდება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება მეტროსადგურ „ავლაბარს“, თბილისის მერის თქმით, „რეაბილიტაციის პროექტში გარკვეული ცვლილებები შევიდა, რადგან არსებული ვესტიბიულის დემონტაჟი განხორციელდა, რომელიც ძალიან მძიმე, ავარიულ მდგომარეობაში იყო. ზოგადად, რეაბილიტაციის ნებისმიერი პროექტის დროს, პრობლემა ისაა, რომ არავინ იცის, რეალურად რა ხდება, რა მდგომარეობაა ადგილზე. როდესაც უშუალოდ სამუშაოები ხორციელდება, უდიდესი პრობლემების წინაშე ვდგებით. თუ რაიმე დამატებითი პრობლემა არ შეიქმნა, მეტროსადგურ „ავლაბრის“ რეაბილიტაციაც ზაფხულში დასრულდება“...

ნინო ლაცაბიძე: რუსთაველების კომფორტული მგზავრობა თბილისის მიმართულებით გარანტირებულია!

რუსთავის მუნიციპალური ტრანსპორტის რეფორმის ფარგლებში, თბილისის მიმართულებით მგზავრებს 20 ახალი ევრო-5-ის სტანდარტის ავტობუსი მოემსახურება. ამასთან, რუსთავის მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრობის საფასურის გადახდა სრულად სანარათე სისტემაზე გადადის.

როგორც რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, თბილისის მიმართულებით მოძრავი ავტობუსების რაოდენობის გაზრდა, მგზავრთა კომფორტულ და შეუფერხებელ გადაყვანას შეუწყობს ხელს.

1 თებერვლიდან, შიდასაქალაქო მარშრუტებზე, ასევე რუსთავი-თბილისის მიმართულებით მგზავრობის საფასურის გადახდა, სპეციალური სამგზავრო ბარათით - „რუსთავი ქარდით“, სტუდენტური ბარათით, „სქულ ქარდით“, მუნიციპალური სოციალური ბარათით, „მეტრომანით“, „საქართველოს ბანკისა“ და „თი ბი სი ბანკის“ პლასტიკური ბარათებით არის შესაძლებელი. „რუსთავი ქარდის“ შეძენა და მასზე სასურველი თანხის დარიცხვა, მხოლოდ „საქართველოს ბანკის“ ტერმინალებიდან ხდება.

რუსთავიდან თბილისის მიმართულებით, მუნიციპალური ავტობუსი ათწლეულების შემდეგ, პირველად 2022 წელს დაინიშნა. როგორც შიდასაქალაქო მარშრუტებზე, ასევე რუსთავიდან თბილისის მიმართულებით, მუნიციპალურ ტრანსპორტზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. 2021 წლის მონაცემებთან შედარებით, მუნიციპალური ავტობუსით მოსარგებლეთა რაოდენობა 254%-ით არის გაზრდილი.

თსუ-ში ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა იგეგმება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის პროექტირების კონკურსი დასრულდა. თსუ რექტორის პაბა სამუშიას ინიციატივით თსუ პირველი და მეორე სასწავლო კორპუსების მიმდებარედ თანამედროვე სტანდარტების სასწავლო-ადმინისტრაციული დანიშნულების კორპუსი აშენდება, სადაც ასევე მოეწყობა სტუდენტური სივრცეები.

კონკურსის შედეგად წარმოდგენილი 8 პროექტიდან არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისია შეარჩევს გამარჯვებულ პროექტს, რომელიც ფუნქციურად და ვიზუალურად დააკმაყოფილებს ახალი კორპუსის დანიშნულებას, არ შეცვლის თსუ პირველი და მეორე კორპუსების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ლანდშაფტს. საპროექტო კონცეფციაში გათვალისწინებული უნდა იყოს ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კონტექსტი და მახასიათებლები. მიმდინარე წლის 30 იანვარს დასრულდა პროექტების წარმოდგენის პროცედურები. 31 იანვრიდან პროექტების გაცნობისა და შეფასებისთვის თსუ-ის პირველ კორპუსში გამოიფინა რვა არქიტექტურული კომპანიის მიერ შექმნილი პროექტები.

ფოთში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა გრძელდება

ქალაქ ფოთში, ნაბადის უბანში, №8 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია ხორციელდება. პროექტის ფარგლებში განახლდება შენობის ფასადი, სკოლის შიდა ინტერიერი – საკლასო ოთახები, დერეფნები, სამასწავლებლო, სპორტული და სააქტო დარბაზები.

კეთილმოეწყო სკოლის ეზო. სამუშაოების შესაბამისად გამოიცვალა შენობის სახურავი. სექტემბრიდან

ახალი სასწავლო პროცესი სრულიად განახლებულ გარემოში დაიწყება.

„ფოთის მუნიციპალიტეტი ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, აგრძელებს ზრუნვას საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, რადგან ფოთელმა მოსწავლეებმა განათლება უფრო თანამედროვე და კომფორტულ გარემოში მიიღონ“, – განაცხადა ფოთის მერმა ბექა ვაჭარაძემ.

სოფელ ქვემო გომს ახალი საბავშვო ბაღი ექნება

საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს.

მშენებლობის მიმდინარეობას კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერიისა და საკრებულოს დეპუტატები ადგილზე გაეცნენ.

აჭარის პოპულარიზაცია საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე

იანვრის განმავლობაში რეგიონი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა მადრიდის, რიგის, ვილნიუსის, ჰელსინკისა და წელს, პირველად ნიუ-იორკის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე წარადგინა. გამოფენების ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ აჭარაში და ზოგადად, საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციები ადგილზევე მიეღოთ.

გამოფენების ფარგლებში მიმდინარეობდა შეხვედრები იმ ტურისტულ, სარეკლამო კომპანიებთან თუ მედია ორგანიზაციებთან, რომელთან თანამშრომლობითაც აჭარის რეკლამირება და პოზიციონირება მიმდინარე წელს იგეგმება.

წელს ოზურგეთი დამატებით 3 ახალ სატვირთოს მიიღებს...

წელს ოზურგეთის მიუჯეტის 11%-ზე მეტი მოხმარდება გარემოსდაცვით ღონისძიებებს, ნარჩენების მართვას და კომუნალური სერვისების განვითარებას – ვზრდით დასუფთავების მომსახურების არეალსაც. ამ მიზნით, განხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება: 2024 წელს ოზურგეთი მიიღებს დამატებით 3 ახალ ნაგავმზიდს, რომელიც მოემსახურება ჩვენს მუნიციპალიტეტს,“ – განაცხადა მუნიციპალიტეტის მერიის სხდომაზე ოზურგეთის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ.

ამავე დროს, დაწყებულია დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ახალი სისტემის დანერგვა, საიდანაც მიღებული შემოსავალი ისევ და ისევ სერვისის მიწოდებას და მის გაუმჯობესებას მოხმარდება.

განახლდა ისტორიული ძეგლები და მემორიალები

ოზურგეთში, სოფელ დვაბზუში შალვა რადიანის და სოფელ ცხემლისხიდში გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმების განახლება იწყება.



„კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც მალე დაიწყება, შალვა რადიანის სახლ-მუზეუმის განახლებას გულისხმობს. ტერიტორიაზე არსებული სახლ-მუზეუმის, დამხმარე ნაგებობების განახლებასა და ეზოს კეთილმოწყობას 257 137 ლარი მოხმარდება. წელს, ასევე მოხდება ჩვენთვის საამაყო მამულიშვილის, გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმის განახლება. პროექტისთვის გათვალისწინებულია 118 916 ლარი, – განაცხადა ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ.

მისივე თქმით, ოზურგეთში ქალაქსა და სოფლებში ისტორიული ძეგლების და მემორიალების განახლება განხორციელდა.

„ილიალოგია“ გვჭირდება კი იგი?!..

(საკითხის დაყენების წესით)

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას თუ გლობალურად გავიაზრებთ, სამ დიდ პერიოდად შეიძლება წარმოვადგინოთ იგი: პირველი, წიწამურამდე, როცა ილია „ქართული კულტურის სწორუპოვარი პელადი იყო“ (ივანე ჯავახიშვილი — „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.) ბატონ ივანეს ეს ნაშრომი „ილიალოგიის“ თავისებურ შესავლად უნდა ჩაითვალოს დღეს...

მეორე, წიწამურის შემდეგ 1936 წლამდე, როცა „მესამე დასის“ მარქსისტებმა ილია ფიზიკურთან ერთად, იდეურადაც მოკლეს, ვითარცა — „წურბელა მემამულე და ხალხის მტერი“...

მესამე, 1936 წლიდან დღემდე, როცა „საბჭოთა იმპერატორის“ უზენაესი ბრძანებით ილიას რეაბილიტაცია მოხდა, ილიას მკვლელი კი, ბერბიჭაშვილი მთელი 30 წელი რომ ილიას მკვლელობას იკვეხნიდა, დაიჭირეს, გაასამართლეს და დახვრიტეს...

მაგრამ ილიას სტალინურ-საბჭოური რეაბილიტაცია იყო **არასრული**, რისი მეტყველი მოწმე წიწამურის „სირცხვილის სვეტზე“ დღემდე შემორჩენილი წარწერაცაა – თურმე „ოხრანკამ“ მოკლა „მწერალი“ ილია. ეს წარწერა დღეს ანომალიაა და გამოსაცვლელია:

რუსეთის იმპერიას ერეკლე მეფიდან დღემდე, იმდენი სისხლიან-ცრემლიანი ცოდვა აქვს ჩვენზე დაუთვლელია, და დამატება არა გვჭირდება. და რაც მთავარია: აქ „მწერალი“ კი არა „მესამე დასმა“ **ეროვნული იდეოლოგი მოკლა!**

დიახ, ბატონებო, **„ქმნა მართლისა სამართლისა შეიქმნს ხესა ხმელსა ნედლად“**, – რაც მალე აღვადგენთ ილიას, როგორც ეროვნულ იდეოლოგს, მით მალე მოვინანიებთ ძველ ცოდვებს...

ანბანური ჭეშმარიტებაა ესეც: ეროვნული იდეოლოგიის გარეშე არც ეროვნული სახელმწიფო არსებობს: განა აშშ XVII-XVIII საუკუნეების „მამა **– პილიგრიმების ამერიკანიზმის“ იდეოლოგიამ არ შვა და განავითარა,** ანდა, ისრაელი – **„სიონიზმის ეროვნულმა იდეოლოგიამ“**?!... მაშ ჩვენ რა დავაშავეთ, ჯუნგლის ტომები ვართ?!...

როცა 1895 წელს ვენაში თეოდორ ჰერცელმა გამოსცა მონოგრაფია – **„ებრაული სახელმწიფო“**, იმავე ხანებში „მესამე დასთან“ ბრძოლაში ილიამ „საერთო ნიადაგის“ თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპების ძიებით მომავალი ქართული სახელმწიფოს კონტურები მოხაზა და დღეს ვის უნდა მივმართოთ „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებისთვის“, თუ არა მას, ილია მართალს?!...

აკაკიმ ილიას მკვლელობა „საქართველოს მკვლელობას“ შეადარა და მომავლის მისი მისია პოეტურად ასე გამოხატა:

„აწ ილია არ მომკვდარა,
მამულისთვის დარჩა ლამპრად“.

ვაჟამ აკაკის ეს იდეა ასე გადმოსცა: **„მოჰკლეს ილია!... მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა!“**, ხოლო მისი ფიცი 9 სექტემბერს მთაწმინდაზე დაკრძალვის დღეს, დღესაც აღსასრულებელია ჩვენგან:

„ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენს მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა... და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძალ იდეალებს – ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას“.

მაგრამ ეს იდეალები არაერთხელ გაითელა ფეხქვეშ მთელი XX საუკუნე და ახლაც ე.წ. „ნაციონალების“ მიერ. ყველას გვახსოვს, რა „დიდებულად“ აღნიშნეს ამ **ფსევდო-ნაციონალებმა და სამშობლოს მოღალატეებმა ილიას დაბადების 170 წლის იუბილე 2007 წლის 7-8 ნოემბერს, სისხლის გუბეები რომ დააყენეს თბილისის ქუჩებში.** მარტო ამიტომ უნდა გასამართლდნენ – მათი ადგილი პოლიტიკურ მოუსავლეთში და ციხეშია...

ივანე ჯავახიშვილი ზემოთ ნახსენებ 1938 წლის მონოგრაფიაში ასეთ გულსატკენ სიტყვებს წერს:

„ქართველ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“-ო, და, ჩვენდა საუბედუროდ, ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია, მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?!“.

ჭეშმარიტად, რომ არა! დიახაც „მესამე დასის“ სინდრომი დღესაც ცოცხალია და საღ-სალამათია, ილია ზედმეტი ბარგია, იგი **„ჩავლილი მატარებელია“**, და მაშასადამე, ტყუილად ველოდებით ისინი, ვისაც მისი გვჯერა და მისი გვწამს...

ილია დღეს...

მადლობა ღმერთს ამის მაგალითებიც მევრია და ახლა გვინდა ვაჩვენოთ, თუ რატომაა ილია ჩვენი „ლამპარი“, და არა „ჩავლილი მატარებელი“:

ილიამ ანდერძად დაგვიტოვა, – რაც არ უნდა მოხდეს, **რუსეთს არ ეომოთ, იმპერიას ომი უომრად უნდა მოვუგოთ**, როგორც ეს გიორგი ბრწყინვალემ შეძლო, მონღოლთა უღელი რომ ხმლის მოუქნევლად მოაშორა ერს და ქვეყანას...

რა დავუჯერეთ მას და ამას რატომ დავუჯერებდით, პირველი რაც გავაკეთეთ, მონღოლთა მემკვიდრე რუსეთს ვეომეთ და რაც მივიღეთ, ამით ყველა ვხედავთ, ახლაც რომ ომისკენ მოგვიწოდებენ შინ თუ გარეთ...

ბევრია მაგალითები **„არ დაჯერებისა“**, მაგრამ ერთი მინდა ისეთი ფაქტი ვთქვა, რომელსაც რატომღაც ეს საუკუნენახევარია ყურადღებას არ ვაქცევთ:

დავაკვირდეთ პოემა **„აჩრდილის“ XXII-XXIII თავებს** – ორივე მათგანში მხოლოდ მრავალი წერტილი დაუსვამს ავტორს! რაშია საქმე, რას გვუბნება ამით ილია?!...

მხოლოდ ერთს, და სხვა არაფერს – **ეს თავები ჩვენ უნდა შევავსოთ!...** თანაც შეხედეთ, რა შეკვეთას გვაძლევს, როცა წინა, XXI თავით აღწერს „მამათა თავდადებას მამულისათვის“:

„რაღაა!...გაჰქრნენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალგულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ახლანდელ შენ შვილს
არც ახსენდება“.

ძნელი არაა გამოვიცნოთ საით გვიბიძგებს **„საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“** – ახალი, ჩვენი ეპოქის **„ძლევაი საკვირველისკენ“**, სამაგალითოდ რომ დაგვიტოვა დავით აღმაშენებელმა 900 წლის წინ ქართველებს...

ახალი „ძლევაი საკვირველი“?!...

დიახ, ყოველი ეპოქა სხვა „ძლევაი საკვირველს“ გვთხოვს, ვიდრე მაშინ დიდგორთან, ეს უკვდავი ფორმულაც ხომ, – „რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ“, ამიტომ დაგვიტოვა ანდერძად და ახალი თაობები ვალდებულნი ვართ მივყვეთ ილიას ამ ანდერძს. „ილიალოგიის“ არსიც ესაა...

აქ მინდა შესადარებლად გავიხსენო ძველი ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კორპორაცია – „ხოდაბუნი“, ჩვენგან ასე მივიწყებული: თუ დავით აღმაშენებლის „ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი“ გავაანალიზებთ, იქ საოცარ ფაქტებს ამოვიკითხავთ, რა ძალას და სიმდიდრეს ფლობდნენ „ხოდაბუნები“ XII საუკუნის საქართველოში:

„...ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის განუწესებია, მე ხოდაბუნი მუხრანისა შემიწირავს..., ვითარც თვით არსენი განაწესებს, ეგრე იქნას“...

და ახლა არ იტყვით რა უძრავ-მოძრავი ქონებაა აღწერილი ამ „ხოდაბუნისა“, და ჩვენ კი, დღეს თვით სიტყვა – „ხოდაბუნი“ „ძნელბედობამ“ გადაგვავიწყა მთლად...

მე „ხოდაბუნს“ დღევანდელი ისრაელის **„კიბუცს“** ვადარებ და თუ ჩვენც ავაღორძინებთ მას და მის „ახალ **დასახლებათა“** პოლიტიკას, მართლაც რომ ახალ „ძლევაი საკვირველს“ ვნახავთ... ამ შემთხვევაშიც ილია მინდა გავიხსენო:

ილია კახეთს ალაზანსა და იორს შორის მოქცეულ „**პატარა შუამდინარეთს“** უწოდებდა და ძალიან განიცდიდა, რომ მონღოლთა შემოსევების შედეგად ივრისპირეთი დავით გარეჯიდან მინგეჩაურამდე **„კვლავ მოოხრებული და გაუკაცრიელებულია“**. თვითონვე სცადა მისი გამოცოცხლება, როცა ბანკის შეღავათიანი კრედიტით დაეხმარა დიმიტრი მაჩხანელს მდინარე იორის სანაპიროებზე.მდ. იორდანის აუზში ებრაული **„კიბუცების“ მსგავსად ახალი დასახლების** მშენებლობა წამოეწყო, მაგრამ წიწამურმა ეს დიდი საქმეც ჩაკლა...

„შუა დერეფანი“ და ივრისპირეთი...

დღეს, როცა სულ უფრო აქტიურად დგება აზიიდან ევროპისკენ „შუა დერეფნის“ საკითხი, შესაძლებელია ილიას ამ იდეის გამოცოცხლებაც, ამასთან, ეს შეიძლება ორგანულად დაუკავშირდეს პახეთის რკინიგზის პრობლემასაც:

როდესაც თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობა გადაწყდა, ილია წერილს წერილზე წერდა, რომ „ამ **რკინიგზას კახეთს, ამ მდიდარ მხარეს ნუ ააცილებთ“**-ო, მაგრამ სწორედ რომ „ააცილეს“: პროექტირებისას მოულოდნელად „გაიმარჯვა“ ე.წ. „სამხრეთის მიმართულებამ“ და რკინიგზა სომხეთის საზღვრებისკენ იქნა გაყვანილი. ამ უსამართლო გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა ილიამ **„კახეთის რკინიგზის ამხანაგობა“** შექმნა, იმ იმედით, რომ ოდესმე აზერბაიჯანით კახეთს გზა გაეხსნებოდა აღმოსავლეთისაკენ...

თუ ევროკავშირს დავაინტერესებთ, დღეს ამ **„შუა დერეფნის“** გარკვეულ ალტერნატივად შეიძლება გამოდგეს **დედოფლისწყარო-მინგეჩაურის ხაზის გაყვანა შირაქისა და ვაშლოვანის ნაკრძალის გავლით, რაც უთუოდ გაზრდის გამტარუნარიანობას იმ ძველ რკინიგზასთან ერთად...**

ჩვენთვის კი მთავარი ის იქნება, რომ მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება **ივრისპირეთის აღორძინებას.**

აქ ისიც მინდა გავიხსენო, რომ ილიას დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მდ. იორის მარჯვენა სანაპიროზე „დალის წყალსაცავთან“ საფუძველი ჩაეყარა დიდ სადაბო დასახლებას – „ილიაწმინდას“. აშენდა რამდენიმე სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობაც, გათვალისწინებული იყო ფერეიდნელთა დაბრუნება-ჩამოსახლებაც, მაგრამ **„კახეთის მემარცვლეობის სადგურთან“** ერთად, ყველაფერი ეს საკაკაშვილმა კეზერაშვილის ჩამოყვანილ არაბებს მიჰყიდა, ხოლო შირაქის დანარჩენი „საყანე **მიწები“** აღგილობრივ ნაციონალებს კერძო საკუთრებად ჩამოურიგეს..

არადა, რაც შირაქი არსებობს,ის კერძო საკუთრებაში **არასოდეს ყოფილა**: ქიზიყის სოფლები მას სასოფლო-სათემო საკუთრებით ამუშავებდნენ, და რამდენადაც სოფლები ძალიან დაშორებულნი არიან მისგან, მამაკაცები დროებით იქ სახლდებოდნენ მოსავლის აღებამდე, და მერე ამ მოსავალსაც „ხელთა **რაოდენობის“** მიხედვით ინაწილებდნენ, „პურის ბეღელიც“ ამით გახდა...

თუ ჩვენ „ხოდაბუნებს“ ავაღორძინებთ და ამასთან, თითოეულ სოფელსაც მანქანა-ტრაქტორთა მომსახურებისთვისაც სათანადო ტექნიკურ პირობებს შევუქმნით, დარწმუნებული ვარ „პურის ბეღელი“ კვლავ აღდგება და ესეც იქნება ჩვენი ეპოქის **ახალი „ძლევაი საკვირველი“...**

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სტატიათა ვრცელ ციკლში – „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, ისე როგორც „მეთაურ“ წერილში – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, ილია უპირატესობას სწორედ სასოფლო-სათემო საკუთრებას ანიჭებს, რადგან იგი „ფუტკრის **სკასავით ერთ მძლავრ ორგანიზმად ჰ კრავს ხალხსაც და ქვეყანასაც“...**

ამიტომაა „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპად ილიას ეს თეზა-შეგონება რომ ჩამოყალიბდა: „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმმართველობაშია. რაც მალე დავიჯერებთ ამას, მით მალე გამოვალთ იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით“.

„იბერიკა“ — მივიწყებული განძი...

„ხოდაბუნის“ გარდა, კიდევ არაერთი განძი დამპარგეთ „ძველგედოგათა შამს“, რა დათვლის მათ...

და აქ მახსენდება შალვა ნუცუბიძე, ასპირანტობის ჩემი ლექტორი, მისი საუბრები პეტრე იბერზე და „იბერიკაზე“, რუსთაველზე, **„ნაადრევ ქართულ რენესანსზე“**. მეამაყება, რომ მასთან ერთად „თსუ ილიალოგთა კლუბის“ დამფუძნებელი ვარ...

ახალგაზრდობაში მაშინ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მისი და ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის ერნესტ ჰონიგმანის ჰიპოთეზა: „ფსევდოდიონისე არეოპაგელის“ ევროპული რენესანსის ფუძემდებლად უარყოფა და მის ნაცვლად პეტრე იბერის წარმოჩენა. ამ ჰიპოთეზას დღეს არაერთი მეცნიერი უჭერს მხარს...

„ილიალოგთა კლუბშიც“ ხშირი იყო ამ საკითხზე მსჯელობა და ჩვენი თეზალოზუნგიც ასე ლაკონურად ჩამოყალიბდა – **„არეოპაგიტიკის“ ნაცვლად „იბერიკა“.**

ჩვენთვის ნათელი იყო, თუ რატომ ებრძოდა რუსეთის იმპერია პეტრე იბერის ავტორიტეტს, როგორც კი დაგვიპყრო და გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია: **ეს ჩვენთვის ეროვნული ისტორიის, ეროვნული სიამაყისა და ეროვნული ღირსების საზომი და მკვებავი წყაროა** და მისი „მონოფიზიტ მწვალებლად“ გამოცხადება ამ ღირსების შელახვაა და მეტი არაფერი, რაშიც მას სომხური ეკლესიაც უწყობდა ხელს მაშინ...

კარგით, ვთქვათ ის მონოფიზიტი იყო, მაშინ სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ რატომ არ აღიარა წმინდანად? ეს ხომ ფაქტია, პეტრე იბერის სამივე ბიოგრაფი რომ აღასტურებს – პალესტინასა და ღაზა-სირიაში არსებულმა ყველა ქრისტიანულმა ეკლესიამ გარდაცვალებისთანავე (491 წელი, 2 დეკემბერი) პეტრე იბერი წმინდანად შერაცხა, ხოლო 2 დეკემბერი მისი ხსენების რელიგიურ თარიღად დააწესა?! ვგონებთ, რაღაც **„ლუარსაბის ლოგიკასთან“** გვაქვს საქმე?!...

და რაც კიდევ უფრო მთავარი არგუმენტია იმათ წინააღმდეგ, ვინც დღეს რუსული ეკლესიის დუღუკზე ცეკვავს ამ **„ტყუილა ქრისტიანების“** საამებლად (ეს ალექსანდრე ბატონიშვილის ტერმინია, არ ეპატიათ მამის, ერეკლე მეფის „მოღორება“), რასაც კიდევ ერთხელ გვიმტკიცებენ დღესაც უკრაინაში გაჩაღებული სისხლის ღვრით – ღორი არასოდეს მოიშლის ღორობას...

და ესეც მინდა ვთქვა იმათ სამხელად (მათ შორის, ჩვენშიც), ვინც ეწინააღმდეგება პეტრე იბერის წმინდანობის აღდგენას საქართველოში:

რა დროს „მონოფიზიტობაა“ 1600 წლის შემდეგ, როცა დღეს **„ევროპული რენესანსის“ გლობალური პრობლემა დგას?!** აქ კი, „ტყუილა ქრისტიანების“ არ იყოს, აშკარად „ვიუ-ვარაცუობასთან“ გვაქვს საქმე, შესანიშნავად რომ გასცა პასუხი ილიამ „ქვათა ღაღადით?“ ასეთ ხალხს – **„თქვენ რა, წუთისოფლის ნაბიჭვრები ხომ არ გგონივართ“?!...**

ახლახან აშშ-ში „კათოლიკურ უნივერსიტეტში“ **ბერძნულ, ლათინურ, სირიულ და არაბულ** წყაროებზე დაყრდნობით მომზადდა დისერტაცია ასეთი ჭკუისსასწავლებელი სათაურით:

„თეოლოგიის მიღმა: პეტრე იბერი V საუკუნის პალესტინაში მიმდინარე ქრისტოლოგიურ დაპირისპირებაში“. სამეცნიერო საბჭომ მხარი დაუჭირა და დაამტკიცა იგი და ვგონებ ახლა მაინც გავიგებთ, რატომაა **„იბერიკა“** ჩვენთვის „მივიწყებული“ ძვირფასი განძი: დიახ, ბატონებო, იგი „ქრისტიანულ დაპირისპირებაში“ ერთობის იდეის მქადაგებელია!... სხვაგან ხვდებიან პეტრე იბერის ღვაწლს, ჩვენთან კი, ნურას უკაცრავად, ის კვლავ **„მწვალებელია“**, ეს ამერიკელების **„თეოლოგიის მიღმა“** მათთვის არაფერია, ყურს მოუყრუებ და მორჩა...

დაბოლოს ორი პრაქტიკული წინადადება: **უნდა მომზადდეს სათანადო დოკუმენტაცია იუნესკოში წარსადგენად, რათა პეტრე იბერი და „იბერიკა“ აღიარებულ იქნას „ევროპული რენესანსის“ საფუძვლად,** და მეორეც:

პალესტინაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელი 50 წლის მანძილზე მას ზეწოდებად შეარქვეს – **„მშვიდობისმყოფელი“.**

კარგი იქნება, თუ იგივე იუნესკოს ეგიდით თბილისში დაარსდება **„პეტრე იბერის მშვიდობის ინსტიტუტი“**. მითუმეტეს, როცა პალესტინა დღესაც დაპირისპირებისა და ომის ქაოსით არის მოცული. ამით პეტრე იბერს ჩვენს ეპოქაშიც შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს **„არა კაც ჰკლას“** დიდ ქრისტიანულ იდეას და ამით კიდევ ერთხელ გაამართლოს ის ზეწოდება, რაც მას V საუკუნეში მიენიჭა პალესტინაში.



ელგერდ ბატიაშვილი

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲜᲔᲗᲐᲜᲘᲐᲰᲣᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲡ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ისრაელის პრემიერ-მინისტრით უკმაყოფილოა, რადგან, ბიბი ნეთანიაჰუ პალესტინის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არსებობას ეწინააღმდეგება. პრობლემის გადასაჭრელად კი, მსოფლიო დასავლეთისგან ისრაელზე პირდაპირ ზემოქმედებას ელის. ამერიკასა და ევროპაში, უწყვეტი პრო-პალესტინური გამოსვლებია. მუსლიმური სამყაროც ითხოვს დასავლეთისგან ისრაელზე შესაბამის ზეგავლენას. ყველაზე მეტად, სპარსეთის ყურის ქვეყნები აქტიურობს, რადგან, ისინი არეულობას უფრთხიან ამ ისედაც არასტაბილურ რეგიონში.

ხუთმა არაბულმა სახელწიფომ, საუდისარაბეთმა, ეგვიპტემ, იორდანიამ, გაერთიანებულმა საემიროებმა და ყატარმა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების გეგმა წარმოადგინეს, რომლის მიხედვით, ჰამასი, სხვა რადიკალურ დაჯგუფებებთან ერთად, საომარ მოქმედებას შეწყვეტს და ებრაელ მძევლებს სრულად გაათავისუფლებს. სამაგიეროდ, ისრაელის მთავრობა გამოაცხადებს, რომ, სამომავლოდ, პალესტინის დამოუკიდებლობას აღიარებს. გეგმა, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დადებული, ოსლოს ხელშეკრულების სქემას თითქმის იმეორებს.

ინიციატივას დადებითად შეხვდნენ ამერიკაშიც და ევროპაშიც. თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების სპიკერმა, ჯონ კერბიმ განაცხადა, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია მხარს უჭერს გეგმას, რადგან, პალესტინის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არსებობა ყველა მხარისთვისაა მომგებიანი.

თეთრი სახლის ამ განცხადებას ისრაელის პრემიერის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ნეთანიაჰუმ კატეგორიულად უარყო პალესტინისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, მან ოსლოს ხელშეკრულებაც მკაცრად გააკრიტიკა. ნეთანიაჰუს აზრით, პალესტინის დამოუკიდებლობა საფრთხეს შეუქმნის ისრაელის არსებობას. პრემიერ-მინისტრის თქმით, ისრაელი ბევრ დათმობაზე წავიდა, მაგრამ, პასუხად, ტერორიზმი და სისხლისღვრა მიიღო, დასძინა რა, რომ ისრაელის მოსახლეობის უმრავლესობა მას ამ საკითხში მთლიანად ეთანხმება. ასე თქვა, მე ამ ყველაფერს ხშირად ვუხსნი ხოლმე ჩემს დასავლელ კოლეგებს, მაგრამ, ცხოვრებაში, ხანდახან, ისეთი მომენტები დგება, როცა ახლო მეგობრისთვის უარის თქმა გიწევსო.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის გამოსვლით უკმაყოფილო დარჩა ამერიკის პრეზიდენტი. ბაიდენმა პირადად დაურეკა ნეთანიაჰუს და დიდხანს ელაპარაკა მას. მოგვიანებით კი, განაცხადა, რომ მათ ამ საკითხში, უთანხმოება აქვთ, მაგრამ იმედს არ კარგავს, რომ ნეთანიაჰუ მაინც დაეთანხმება ამერიკას. ბიბის პოლიტიკის მიმართ, მკვეთრი უკმაყოფილება 22 იანვრის ევრო-მინისტერიალზეც გამოითქვა. აგორებულ საყოველთაო უკმაყოფილებას ისრაელის პოლიტიკის მხარდამჭერი გერმანიაც კი შეუერთდა. შეხვედრაზე, საგარეო საქმეთა რამდენიმე მინისტრმა ისრაელისთვის სანქციების დაწესებაც კი მოითხოვა, მაგრამ უმრავლესობამ იდეა უარყო. მოხდა ევროკავშირის წარმომადგენელთა შეხვედრა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრ ისრაელ კაცთან და პალესტინის ემისართან. კაცმა დაგმო ორი სახელმწიფოს არსებობის გეგმა და ევროკავშირს ისრაელის მთავრობის ახალი მოსაზრება შესთავაზა: ხმელთაშუა ზღვაში ხელოვნური კუნძულის შექმნა და პალესტინის მოსახლეობის ნაწილის იქ გადასახლება. ისრაელ-პალესტინის საკითხზე ევროკავშირი სამშვიდობო კონფერენციის ჩატარებას აპირებს, რომელიც რამდენიმე თვე გასტანს, და რომლის მიზანი ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის დამყარების გეგმის შემუშავება იქნება. კონფერენციაზე მიწვეულია თითქმის ყველა მძიმეწონიანი სახელმწიფო, რუსეთის გარდა. როგორც ევროკავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, კონფერენცია მაინც ჩატარდება, ისრაელმა და ზოგიერთმა არაბულმა ქვეყანამ უარიც რომ თქვას მონაწილეობაზე. მუსლიმთა ქვეყნების უმრავლესობა დადებითად შეხვდა ევროკავშირის მიერ კონფლიქტის მოგვარების ასეთ მცდელობას.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲞᲔᲠᲣᲨᲘ ᲦᲠᲛᲐᲬᲧᲚᲝᲕᲐᲜ ᲞᲝᲠᲢᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ და ჩინეთის პაექრობა მსოფლიო ლიდერობისთვის ახალ ფაზაში გადავიდა. მათი დაპირისპირების არენად მთელი მსოფლიო იქცა, თუმცა, კონკურენცია, ჯერჯერობით, მშვიდობიანია. სწორედ, ამ აზრის გავრცელებას ცდილობენ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, უკანასკნელი რამდენიმე წელია, მათ შორის, ახლანდელი პირველი დიპლომატი, ვან-ი, რომლის 10-დღიანი ვოიაჟი 13 იანვარს ეგვიპტიდან დაიწყო, გაგრძელდა ტუნისში, შემდეგ, ტოგოში, კოტდივუარში, ბრაზილიასა და იამაიკაში.

წინათ, უპირატესობა აფრიკის კონტინენტს ეძლეოდა. ახლა, ლათინურმა ამერიკამაც მიიპყრო მათი ყურადღება. ვოიაჟების არეალის გაზრდა ჩინეთის მიერ მისი საგარეო ტაქტიკის გააქტიურებას გულისხმობს, რაც, კონკრეტულად, გლობალური სამხრეთის თავის მხარეზე გადმობირების დიპლომატურ მცდელობას ნიშნავს.

ექსპერტთა ვარაუდით, ჩინეთმა დასავლეთთან შეჯიბრში ფსონი გლობალურ სამხრეთზე იმიტომ დადო, რომ ფიქრობს, მსოფლიოს ეკონომიკური ძლიერება, მომავალში, დასავლეთიდან ამ რეგიონზე გადაინაცვლებს. და თუ ეს დიდი რეგიონი პრო-ჩინური გახდება, ჩინეთი, დასავლეთთან ჭიდილში, გამარჯვებული გამოვა.

რუსეთისაგან განსხვავებით, ჩინეთს არ სურს, რომ დასავლეთთან დაპირისპირება სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდოს. სჯერა, მშვიდობიანი კონკურენციის პირობებში, დასავლეთს ადვილად დაჯაბნის. პეკინი გლობალურ სამხრეთს არწმუნებს, რომ ის უფრო სანდო პარტნიორია, ვიდრე დასავლეთი, რასაც იმით ამტკიცებს, რომ სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში არასოდეს არ ერევა და არავის ახვევს თავს თავის იდეოლოგიას.

ვოიაჟებში, მინისტრ ვან-ის მესიჯი სწორედ ესაა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ჩინეთმა გლობალური სამხრეთის გადმობირების პოლიტიკა დახვეწა. აღარ აქტიურობს რადიკალური ავტოკრატული რეჟიმების, ვენესუელას ან ნიკარაგუას, თავის მხარეს გადმობირებაში. ყველაფერს აკეთებს, რომ გლობალური სამხრეთის ძლიერი ქვეყნები თავის მომხრეებად აქციოს.

ამიტომ გააააქტიურა ჩინეთმა ურთიერთობა ბრაზილიასთან. ვან-იმ ბრაზილიის პრეზიდენტთან შეხვედრისას ხაზი გაუსვა, რომ ჩინეთსა და ბრაზილიას, როგორც ბრიქსის წევრებს, დიდი პასუხისგებლობა აქვთ დღევანდელი მსოფლიოს წინაშე. მან უკრაინისა და ღაზის სექტორის ომები იგულისხმა, პირველ რიგში. აღნიშნა ისიც, რომ მსოფლიოს მომავალი წესრიგი მრავალპოლუსიანი იქნება. ვან-იმ და ლულამ, ასევე, ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების საკითხიც განიხილეს. ჩინეთის მიერ ლათინურ-ამერიკაში ფეხისმოკიდების მცდელობა არახალია. ახლა, უბრალოდ, კონტინენტის დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობას ცდილობს.

მაგალითად, ჩინეთის დახმარებით, პერუში დიდი ღრმაწყლოვანი ნავსადგური შენდება, რომელიც ჩინეთსა და ლათინურ ამერიკას შორის დიდი სავაჭრო გზის გაკვალვის საწინდარია.

აღნიშნული ვოიაჟის ბოლო ქვეყანა იამაიკა იყო. რატომ იამაიკა? პასუხი ტაივანის სტატუსია. მსოფლიოში, მხოლოდ 12 ქვეყანას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ტაივანთან. აქედან, შვიდი ქვეყანა ლათინურ ამერიკასა და კარიბის რეგიონს ეკუთვნის. იამაიკა კარიბის რეგიონის გავლენიანი ქვეყანაა, რომელიც, ბოლო დროს, ძალიან დაუახლოვდა ჩინეთს. ამერიკის მეზობელ რეგიონში ჩინეთის ასეთი გააქტიურება ძალიან აწუხებს ბაიდენის ადმინისტრაციას, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერაფერს ვერ ცვლის.

ᲡᲐᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ?

ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔᲐ, პოლონეთს ახალი ლიბერალური მთავრობა ჰყავს, რომლის მიმართ, არც ბრიუსელში და არც თავად პოლონეთში მძაფრი კრიტიკა არ ცხრება. კრიტიკის მიზეზი კი, ახალი მთავრობის ხისტი და არადემოკრატიული საქციელია. საარჩევნო კამპანიის დროს, ლიბერალები პოლონელ ხალხს ქვეყნის დემოკრატიულ კალაპოტში დაბრუნებას ჰპირდებოდნენ. მოგეხსენებათ, 2015 წლიდან, პოლონეთს კონსერვატული პარტია „კანონი და სამართალი“ მართავდა მისი ლიდერის, იაროსლავ კაჩინსკის მეთაურობით, რომლის მიმართ ბრიუსელი უაღრესად კრიტიკულად იყო განწყობილი, რადგან, კაჩინსკის პარტია ევროსკეპტიციზმსა და კონსერვატული იდეებს ამკვიდრებდა. ბრიუსელსა და ვარშავას შორის მუდმივი უთანხმოება იყო თითქმის ყველაფერზე.

ბრიუსელი პოლონეთის მთავრობას ავტორიტარიზმსა და არადემოკრატიულობაში სდებდა ბრალს. ბრიუსელი არ მალავდა, რომ მოხარული იქნებოდა თუ პოლონეთში კვლავ ლიბერალური ძალები მოვიდოდა სათავეში. და აი, ასრულდა მისი ეს ოცნება: შარშან, პოლონეთის ლიბერალურმა ოპოზიციამ საპარლამენტო არჩევნები მოიგო, რის გამოც, ბრიუსელი და ევროპის სხვა დიდი ქალაქები სიხარულს ვერ მალავდნენ. ევროკავშირის ხელმძღვანელობა ხაზგასმით ამბობდა, რომ პოლონეთში დემოკრატია და კანონის უზენაესობა დაბრუნდა, მაგრამ, ბოლოს, ყველაფერი ნაადრევად ნათქვამი აღმოჩნდა.

პოლონეთის ახალმა, ლიბერალურმა მთავრობამ, დემოკრატიზაციის საბაბით, ფრიად არადემოკრატიული ნაბიჯები გადადგა, მაგალითად, პოლონეთის საზოგადოებრივი არხის მთელი მენეჯმენტი დაითხოვა. ტელეარხის ახალი ხელმძღვანელობა კი, თითქმის, მთლიანად მმართველი პარტიის წრიდანაა. ახალმა მენეჯმენტმა ტელევიზიის საშტატო წმენდა დაიწყო, რამაც, კონსერვატულ წრეებსა და ჟურნალისტებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ოპოზიციამ საპროტესტო მარში მოაწყო და გათავისუფლებულმა ჟურნალისტებმა ტელევიზიის პიკეტირება სცადეს. ზოგიერთმა ჟურნალისტმა მთავრობის მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სასამართლომ მთავრობისთვის არასასურველი ვერდიქტი გამოიტანა. სასამართლოს აზრით, ჟურნალისტების სამსახურიდან გაშვება პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა.

ტუსკის მთავრობა კრიტიკის ქარცეცხლში სხვა მიზეზითაც მოხვდა: უშუალოდ პრეზიდენტის სასახლეში ძველი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი მოადგილე დააკავეს. პოლიტიკოსებს გაუკვირდათ მთავრობის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. პოლონეთის პრეზიდენტმა ანდჯეი დუდამ თქვა, რომ მისი სტუმრების დაკავებით, პოლონეთის სახელმწიფოს ჩრდილი მიადგა. ცნობილი პოლიტიკური ფიგურების დაპატიმრების ამ ეპიზოდმა, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, ტუსკის მთავრობის მწვავე კრიტიკა გამოიწვია. ვარშავაში ათიათასობით ადამიანმა გააპროტესტა ახალი მთავრობის ქცევა. ბრიუსელსაც მოუწია ტუსკის გაკრიტიკება.

საზოგადოება პოლონეთის ახალ მთავრობას კაჩინსკის მთავრობის შეცდომების გამეორებაში ადანაშაულებს.

მათი აზრით, ლიბერალებმა, უბრალოდ, კონსერვატორებზე შურისძიება გადაწყვიტა, რასაც საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან. ითქვა, რომ ტუსკის მთავრობამ, პირიქით, უნდა აჩვენოს, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში არ აქვს მნიშვნელობა თუ რომელი პარტიის წევრი ხარ. მთავარია, კანონმორჩილი და წესიერი მოქალაქე იყო.

რეფორმების ნაცვლად, ახალმა მთავრობამ ძველი მთავრობის წევრებზე ნადირობა დაიწყო, რითაც დაამტკიცა, რომ მათ მხოლოდ ძალაუფლება სწყუროდათ. დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე მათი ლაპარაკი ჩვეულებრივი ფარისევლობა გამოდგა. ეს პოლონელი ექსპერტების სიტყვებია!

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ Ბ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ
POSTV

ტრამპს და სტოლტენბერგს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგენენ

თეთრი სახლის ექსლიდერი, ნობელის პრემიაზე „რესპუბლიკური პარტიის“ წევრმა კლაუდია ტენიმ უნდა წარადგინოს.

„დონალდ ტრამპმა ხელი შეუწყო შუა აღმოსავლეთში პირველი ახალი სამშვიდობო შეთანხმების დამყარებას თითქმის 30 წლის განმავლობაში. ათწლეულების მანძილზე მიუროკრატები, საგარეო პოლიტიკის „პროფესიონალები“ და საერთაშორისო ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთში დამატებითი სამშვიდობო შეთანხმებები შეუძლებელი იყო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაწყვეტის გარეშე. პრეზიდენტმა ტრამპმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის. ჩემთვის პატივია ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის დასახელება და მსურს, რომ მან მიიღოს ის აღიარება, რასაც ის იმსახურებს“, – აცხადებს კლაუდია ტენი.

ინფორმაციისთვის, საუბარია ისრაელ-საამიროების სამშვიდობო ხელშეკრულებაზე, ანუ აბრაამის შეთანხმებაზე.

* * *

წარდგინების ინიციატივით ნორვეგიის ლიბერალური პარტიის თავმჯდომარე აბიდ რაჯა გამოვიდა, რომლის თქმითაც, ევროპასა და მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიისთვის გაწეული რვა წლისთვის ნატოს გენერალური მდივანი პრესტიჟულ ჯილდოს იმსახურებს.

იენს სტოლტენბერგი ალიანსის გენერალური მდივნის პოსტს 2014 წლიდან იკავებს.

ნულანდი პუტინს „სასიამოვნო სიურპრიზებს“ ჰპირდება

უკრაინისთვის 2024 წელს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ვიქტორია ნულანდმა კიევში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. ნულანდის თქმით, ის კიევს დიდი ოპტიმიზმით ტოვებს.

„მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა აძლიერებს თავის თავდაცვას, ბატონ პუტინს სასიამოვნო სიურპრიზები ექნება ბრძოლის ველზე, ხოლო უკრაინა წელს დამაჯერებელ მიღწევებს მიიღებს“, – განაცხადა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ. ნულანდი ასევე მიიჩნევს, რომ აშშ-ის კონგრესი ხმას მისცემს უკრაინის დამატებით დახმარებას, **„თუ გავითვალისწინებთ მის როლს ქვეყნების გადარჩენისა და კეთილდღეობისთვის“. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე კიევს 31 იანვარს ეწვია.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს „ქციას“ მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. არაფლოში ასფალტ-ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ასფალტ-ბეტონის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ქცია“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. არაფლო

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 16 თებერვალი, 14:00 საათი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 21 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2024 წლის 26 იანვარს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს „ასტექის“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირში ასფალტის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: **ასფალტის წარმოება**

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: **შპს „ასტექ“**

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: **თერჯოლის მუნიციპალიტეტი**

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 14 თებერვალი, 13:00 საათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 21 თებერვლის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: **ph@eiec.gov.ge**, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 2024 **წლის 26 იანვარს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს „ცენტრა თბილისის ტერმინალის“ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტში ნავთობპროდუქტების საცავის, ბიტუმის საწარმოს (სარეზერვუარო პარკი) რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ნავთობპროდუქტების საცავისა და ბიტუმის საწარმოს (სარეზერვუარო პარკი) რეკონსტრუქციის მშენებლობა და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ცენტრა თბილისის ტერმინალი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 15 თებერვალი, 12:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 20 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2024 წლის 23 იანვარს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

◎ ჩემი ენა ჩემი მტერიო...

ხელები შორს დიღმის ბაზიდან!

ჩემი ენა ჩემი მტერიო, ისეა რომან ფიფიას საქმე. თბილისის დინამოს სახელოვან 100-წლოვან ისტორიაში, რომელიც გაისად სრულდება და იმედია საკადრისადაც აღინიშნება, მრავალი თავკაცი ჰყოლია, რომელთა სახელებიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართული ფეხბურთის მატიანეში, მაგრამ ჩვენი საამაყო კლუბის მოქმედმა პრეზიდენტმა ის სასიკეთო საქმე, რასაც ვიტალი დარასელიას სახელობის ბავშვთა აკადემიის დაარსება ჰქვია, ბოლო გადაწყვეტილებით წყალში ჩაყარა და ძნელად სავარაუდოა, რომ საზოგადოების სამართლიან რისხვას თავი დააღწიოს.

დიახ, ახალი სეზონის წინ გავრცელებულ განცხადებაში იგი მომავალ იუბილესთან დაკავშირებით სამარცხვინო ჩანაფიქრს გვანდობს და, თითქოს აქაც არაფერიაო, ისე სასხვათაშორისოდ გვპირდება – მომავალ წელს გუნდი ახალ ულტრათანამედროვე საბუდარში გადავაო, ერის საგანძური – ანდრო ჟორდანიას სახელობის დიღმის საწვრთნელი ბაზა კი დაინგრევაო. ადვილად სავარაუდოა, რომ იქ მრავალსართულიანი კორპუსები ან კომერციული ფართები წამოიჭიმება. დაგვეთანხმებით, აქამდე რუდუნებით შემონახული თაობათა სამჭედლოსადმი ასეთი დამოკიდებულება აღმაშფოთებე:ლია და მყისიერ უმკაცრეს რეაგირებას მოითხოვს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ასეთი მავნებლური პროექტის საჯაროდ გაჟღერებაც კი მრავლისმთქმელი ფაქტია და ნათლად მეტყველებს მისი ავტორის, საუკეთესო შემთხვევაში, სიბრიყვესა და, რაც კიდევ უფრო საგანგაშოა, ქვეყანაში გამეფებულ დაუსჯელობის სინდრომზე.

მართლაც, როცა ადამიანი ზნეობრივად ასე დაეშვება ფსკერამდე, კაცი ძალაუნებურად იფიქრებ, რომ მას ზურგს ყოვლისშემძლე მფარველები უმაგრებენ, მათთან შეურიგებელი ბრძოლის გამოცხადება კი, საბოლოო შედეგის მიუხედავად, თითოეული ჩვენგანის ვალია.

ვიმედოვნებთ, დედაქალაქის მერის – კახი კალაძისა და საფეხბურთო სამყაროს მიერ ამ დღეებში გამოხატული მრისხანე პოზიცია წერტილს დაუსვამს თავნება პრეზიდენტის უგუნურებას, მისი ნაბოდვარის ალაგმვით კი წარსულს ჩაბარდება მსგავსი ვაილიდერების პარპაში. რომ იტყვიან, პრევენცია უპირველეს ყოვლისა!

წერილი მოახლოებულ საუკუნოვან იუბილეზე საუბრით დავიწყეთ და მოდით ორიოდე სიტყვით კიდევ ერთი მრგვალი თარიღი გავიხსენოთ, რომელიც ამ დღეებში შესრულდა და, ვფიქრობთ, წარმატების მასშტაბის გათვალისწინებით, ნამდვილად იმსახურებს ქომაგთა ყურადღებას.

მოკლედ, 20 წლის წინათ **ივო შუშაკისა** და **გივი ნოდიას** გაწვრთნილმა თბილისის დინამომ პირველად და უკანასკნელად მოიგო მოსკოვში გამართული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი და, სამშობლოზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უსაზღვრო სიხარული მიანიჭა იქაურ ქართველობას.

სიამოვნებით წარმოგიდგენთ მაშინდელ ოქროს გიჯებს: **გვარამაძე, ახალაია, შაშიაშვილი, ორბელაძე, კარლოსი, კვირკველია, ბურდული, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ვიტალი დარასელია-უმცროსი, ალექსიძე, მელქაძე (დელეგაციის ხელმძღვანელები – დავით პეტრიაშვილი და პახა ჯუმბურიძე).**

გია პლატონიშვილი

◎ ელიტაში

უკვე – ქალიც!

ქართველი ქალი მსაჯი ნინო ელოშვილი პროფესიულ საქმიანობაში წინსვლას განაგრძობს და კარიერის განმავლობაში უმაღლესი დონის დანიშვნა მიიღო.

თავდაპირველად მას რაგბი ევროპის 7-ქალას ტურნირებში იწვევდნენ, მერე კი 15-კაცა (სუპერ თასზე თანამსაჯად) და 15-ქალას ორი (მოედნის მსაჯი) თამაში ანდეს. ქალთა რაგბი ევროპის ალაფაზე წარმატებული მსაჯობის კვალდაკვალ რაგბი ევროპამ ის წელს ჩემპიონატზე დააწინაურა, სადაც ორ თამაშს განსჯის.

ქალთა ჩემპიონატში სულ ოთხი გუნდი თამაშობს – ნოდერლანდები, შვედეთი, პორტუგალია და ესპანეთი. ტურნირი 3 თებერვალს ნიდერლანდებისა და შვედეთის მატჩით იხსნება და ნინო მოედნის მსაჯია. სასიხარულოა, რომ მას ასისტენტებად ასევე ქართველები – კახა გელოზია და მარიამ გოგუაძე ეყოლება.

13 აპრილს იგივე შემადგენლობა უკვე ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრას იმსაჯებს, რომელშიც შვედეთი ესპანეთს მასპინძლობს.

„2024 წელი სასიხარულო ინფორმაციით დაიწყო, რადგან მომივიდა დანიშვნა 15-ქალას რაგბი ევროპის ჩემპიონატის ორ თამაშზე. შარშან რაგბი ევროპის ალაფაზე ორი შეხვედრა ვიმსაჯე, როგორც ჩანს კარგი შთაბეჭდილება დავტოვე, ნდობა დავიმსახურე და ერთი საფეხურით მაღლა, რაგბი ევროპის ელიტურ ჩემპიონატში დამიძახეს. ეს დიდი სტიმული და პასუხისმგებლობაა, რადგან ამ დონეზე პირველად ვიქნები წარმოდგენილი. ჩემთან ერთად მოდიან კახა გელოზია და მარიამ გოგუაძე. მოედანზე თავს მარტოდ არ ვიგრძნობ, რაც დიდი კომფორტია“.

◎ ხუთი რგოლი

განგვონში (სამხრეთ კორეა) ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ფარგლებში სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაგელოვი და საქართველოს ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მარიამ გიორგობიანი ციგურაობის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტს ჯეიულ კიმს შეხვდნენ.

პროგრესი ყინულზე

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოში ფიგურული ციგურაობის განვითარებაზე და სამომავლო გეგმებზე.

სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაგელოვმა ხაზი გაუსვა ზამთრის სპორტის სახეობებს შორის ფიგურული ციგურაობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ბოლო წლებში მიღწეულ წარმატებებს, რაც განაპირობა სახელმწიფოს, სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და ფიგურული ციგურაობის ფედერაციის აქტიურმა თანამშრომლობამ და მზარდმა მხარდაჭერამ, ფედერაციის პრეზიდენტის მარიამ გიორგობიანის მნიშვნელოვანმა ძალისხმევამ.

ლერი ხაგელოვმა ციგურაობის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადებაზე, საფესტივალოდ თბილისსა და და ბათუმში ყინულის მოედნების მშენებლობის შესახებ.

ციგურაობის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა აღნიშნული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით და გამოთქვა რწმენა, რომ ახალი საციგურაო მოედნები ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას და ფიგურული ციგურაობის შემდგომ განვითარებას საქართველოში. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს მოციგურავეები უკვე სერიოზულ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ საერთაშორისო სარბიელზე და ახლო მომავალში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზეც იტყვიან თავიანთ სიტყვას. თქვენ ამას შეძლებთ ერთობლივი მუშაობით და ციგურაობის საერთაშორისო კავშირის თანადგომით – აღნიშნა ჯეიულ კიმმა. მან მადლობა გადაუხადა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს საქართველოში ფიგურული ციგურაობის აქტიური მხარდაჭერისთვის.

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მარიამ გიორგობიანმა ისაუბრა საქართველოში ფიგურული ციგურაობის პროგრესზე, რასაც ადასტურებს ბოლოდროინდელი შედეგები.

◎ ფორუმის წინ

კარპატებში იჭიდავებენ

საქართველოს გერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების შემადგენლობა ევროპის 2024 წლის ჩემპიონატზე ამ დღეებში დაზუსტდა და ასეთი სახე მიიღო:



55 კგ – ნუგზარ წურწუმია, 60 კგ – ფრიდონ აბულაძე, 63 კგ – ლერი აბულაძე, 67 კგ – დიეგო ჩხიკვაძე, 72 კგ – გიორგი ჩხიკვაძე, 77 კგ – იური ლომაძე, 82 კგ – გელა ბოლქვაძე, 87 კგ – აჩიკო ბოლქვაძე, 97 კგ – რობერტ კობლიაშვილი, 130 კგ – იაკობ ქაჯაია.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისწინა მოსამზადებელი ციკლის დასკვნით შეკრებას გორში გადის.

ქართულ განაცხადშია ნაკრების ლიდერი – ევროპის 2-გზის და მსოფლიოს ჩემპიონი **ლერი აბულაძე** (63 კგ), რომელიც ზედიზედ მეორედ ევროპირველობაზე მოქმედი ჩემპიონის რანგში გამოვა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში სამი დებიუტანტია – დიეგო ჩხიკვაძეს, გიორგი ჩხიკვაძესა და აჩიკო ბოლქვაძეს ამ რანგის შეჯიბრებაზე აქამდე მხოლოდ ასაკობრივი ნაკრებების რიგებში უჭიდავიათ.

ევროპის ჩემპიონატი რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში 12 თებერვალს დაიწყება და იგი პარიზის წლევანდელი ოლიმპიადისთვის სარეიტინგო ტურნირიც გახლავთ.

◎ ლეგიონერი

რეკორდის ზღურბლთან

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში „ლენოვო ტენერიფემ“ ბერძნული „პერისტერი“ ძალიან ადვილად, 89:68 დაამარცხა. ესპანელებმა პირველი ტაიმი 22 ქულით მოიგეს და გამარჯვება არ გასჭირვებიათ.

გიორგი შერმადინმა 17 წუთში 8 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. მას შეტევაში 100%-იანი შედეგი ჰქონდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბურთი კალათისკენ მეტრჯერ არ უსვრია. „ტენერიფეში“ საუკეთესო კაილი გაი იყო, რომელმაც 26 ქულა და 4 პასი დააგროვა. „ლენოვო ტენერიფე“ ჯგუფში 2 მოგებით ლიდერია და მომდევნო ტურში 7 თებერვალს იერუსალიმის „ჰაპოელს“ სტუმრად დაუპირისპირდება, გიოს კი ლიგის აბსოლუტურ რეკორდამდე 38 ქულის ჩაგდება დარჩა.

სტატისტიკით დანაშაული კლებულობს!

საზოგადოების ინფორმირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, https://info.police.ge/ 2023 წლის დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნდა.

სტატისტიკის თანახმად, 2023 წელს, ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით დაკლებულია.

„როგორც წინა წლებში, 2023 წელსაც გაგრძელდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის მატების ტენდენცია და გასულ წელს, საგამოძიებო უწყების მიერ გახსნილია რეგისტრირებული დანაშაულის 64.87%.

2023 წელს შემცირებულია სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები. საანგარიშო პერიოდში განზრახ მკვლელობების და განზრახ მკვლელობის მცდელობების 178 ფაქტი დარეგისტრირდა, რაც 2022 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია – 8.71%-ით.

ასევე, შემცირებულია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტებიც.

გრძელდება საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების კლების ტენდენციაც. შემცირებულია ქურდობის, მათ შორის მინიდან ქურდობის ფაქტები.

პოლიციის მიერ, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გავრცელების წინააღმდეგ გატარებული შედეგიანი სამართლებრივი პოლიტიკისა და ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან აქტიური მრძოლის შედეგად გაიზარდა ნარკოდანაშაულის გამოვლენის ფაქტები.

2023 წელს 2022 წელთან შედარებით, სამართალდამცველების მიერ ნარკოდანაშაულის გამოვლენის ფაქტები გაზრდილია 20.53%-ით. გამოვლენის გაზრდილი მაჩვენებელი ფიქსირდება კიბერდანაშაულის მიმართებითაც და 7,3 %-ით მეტს შეადგენს.

მსხვერპლთა მხრიდან პოლიციის მიმართ ნდობისა და მომართვიანობის გაზრდის პროპორციულად 2023 წელს გაზრდილია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა.

რაც შეეხება ქორწინების იძულების ფაქტებს, 2023 წელს 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია, რაც მეტწილად საზოგადოებაში აღნიშნული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლებითაა განპირობებული“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბექა ცირეკიძის მიერ მოპარული წიგნების ფასი...

ესტონეთის ბიბლიოთეკიდან XIX საუკუნის წიგნების ქურდობისთვის, საქართველოს მოქალაქეს 2-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ტარტუს საოლქო სასამართლომ საქართველოს მოქალაქე, ბექა ცირეკიძე დამნაშავედ 2022 წლის გაზაფხულზე ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან რვა ძვირფასი წიგნის მოპარვაში ცნო და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა და ესტონეთიდან დეპორტაცია მიუსაჯა. მედიის ცნობით, სასამართლომ მას თავდაპირველად სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ვადა ერთი მესამედით შეუმცირა, რადგან საქმე გამარტივებული პროცედურით განიხილებოდა. დამატებითი სასჯელის სახით, მას ესტონეთის დატოვება და ამ ქვეყანაში ხელახალი შესვლის ხუთი წლით აკრძალვა დაეკისრა.

საოლქო სასამართლომ ასევე დაკმაყოფილა ტარტუს უნივერსიტეტის სამოქალაქო სარჩელი, რომლითაც ცირეკიძეს 158 000 ევროს მატერიალური ზიანის, ასევე 2 712 ევროს იურიდიული ხარჯების გადახდა დაევალა. საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ პროკურატურამ ცირეკიძე დაადანაშაულა იმაში, რომ ის ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ყალბი დოკუმენტებით, მკითხველად დარეგისტრირდა და 2022 წლის აპრილში, ჯერ კიდევ უცნობ ეჭვმიტანილთან ერთად, ბიბლიოთეკიდან რვა ძვირფასი წიგნი მოიპარა.

აეროპორტის დასახლებაში მეზობელმა მეზობელი მოკლა!

მკვლელობა თბილისში – არსებული ინფორმაციით, ე.წ აეროპორტის დასახლებაში, შელაპარაკებების ნიადაგზე, ასაკოვანი კაცი მოკლეს.

თვითმხილველების თქმით, დანაშაულში ბრალდებული, სავარაუდოდ, მისი მეზობელია. ადგილობრივების ინფორმაციითვე, დაკავებულია შუახნის კაცი.

პატიმრობა ტრეფიკინგში ბრალდებულებს

პროკურატურის ცნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგში) ბრალდებული 2 პირი დამნაშავედ ცნო.

ბრალდებულებს სასჯელის სახედ და ზომად 13-13 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ. უწყება ამბობს, რომ დაზარალებული ვითომ სამუშაოდ, მოტყუებით გაუშვეს ირანში, სადაც მას ჩამოართვეს პასპორტი, შეუზღუდეს გადაადგილება, კომუნიკაცია ოჯახთან, ასევე, დაზარალებულზე მუდმივად ძალადობდნენ.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2023 წლის აპრილში ბრალდებულებმა დაზარალებული ვითომდა სამუშაოდ, მოტყუებით გაამგზავრეს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში და გადასცეს პირს, რომელთანაც სოლიდური ფინანსური ვალდებულება გააჩნდათ.

დაზარალებული საზღვარგარეთ მონობის თანამედროვე პირობებში აღმოჩნდა. კერძოდ, მას ჩამოართვეს პასპორტი, შეუზღუდეს თავისუფალი გადაადგილება და კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან, აკონტროლებდნენ და მასზე მუდმივად ძალადობდნენ.

პოლონეთში 3 ქართველი ორგანიზებული ძარცვის ბრალდებით დააკავეს

დაკავებულია საქართველოს სამი მოქალაქე, ისინი პოლონეთში ერთი წლის განმავლობაში სახლებს ძარცვავდნენ. მათ მიერ მიყენებული ზარალი მილიონ ზლოტზე მეტია. ინფორმაციას პოლონური მედია ავრცელებს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ბრალდებულებს ბრალი სულ 48-მდე ძარცვისთვის აქვთ წაყენებული. პოლონეთის პოლიცია მათ საქმეებს დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში იძიებდა.

„დიდი სამუშაო ჩაატარეს პოზნანის პოლიციის შტაბის სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის ექსპერტებმა, რომლებმაც საგულდაგულოდ გამოიკვლიეს ძარცვის ადგილზე დაცული სხვადასხვა სახის კვალი. ამ ყველაფერმა საშუალება მისცა ეჭვმიტანილებს სულ 48 ბრალდება წაეყენებინათ. ისინი ძირითადად ეხება ძარცვას, ასევე დაზიანებას და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვას კანონით მოთხოვნილი ნებართვის გარეშე, ასევე ყალბი უკრაინული დოკუმენტების გამოყენებას პასპორტებისა და მართვის მოწმობების სახით“, – წერია პოლიციის განცხადებაში. მათივე ცნობით, 44, 29 და 28 წლის საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ საბრალდებო დასკვნა სასამართლოში უკვე შევიდა. ისინი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან. მათ 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ჭავჭავაძეზე გარდაცვლილი კაცი ინკასირებისა და დაცვა-გაცილების სამსახურის ინსპექტორი იყო...

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თბილისის ინკასირებისა და დაცვა-გაცილების სამსახურის ინსპექტორის, პოლიციის მაიორის, ვალერიან გოგატიშვილის გარდაცვალების გამო. შემთხვევა 30 იანვარს დილით, ჭავჭავაძის გამზირზე მოხდა.

„პოლიციის მაიორი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოულოდნელად შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს“, – წერია განცხადებაში.მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115 -ე მუხლით მიმდინარეობს.

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ტურიზმის დამსახურებული მოღვაწე, წლების განმავლობაში ტურისტული კომპლექს „ცხუმის“ ხელმძღვანელი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი

გივი მეშველიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

არდავიწყება

ნოდარ მურღულია



წელიწადი შესრულდა კეთილშობილებითა და ღირსებით შემკული პროფესიონალის, წარსულში სოხუმის პურპროდუქტების წარმოების ხელმძღვანელის ნოდარ მურღულიას გარდაცვალებიდან.

იმდენად დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით იყვნენ დარგის ხელმძღვანელები და სპეციალისტები მის მიმართ განწყობილნი, რომ 50 ლტოლვილი მუშაკი ნოდარის თავკაცობით „აფხაზპურიდან“ საქართველოს პურპროდუქტების სისტემაში პირველ რიგში დასაქმდნენ.

ნოდარი ჯერ თბილისის №6 პურის ქარხანაში,შემდგომ კი სამთავრობო რეზიდენციაში არსებულ წარმოებას ხელმძღვანელობდა. მხოლოდ კეთილი სიტყვა და საქმეა ამ კაცის გარშემო გასახსენებელი, ალბათ, ფურცელი ვერ დაიტევდა მისი ხელიდან გამოსული კეთილი საქმეების ჩამონათვალს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ დიდებული ადამიანის სული, რომელსაც კიდევ ერთხელ ვიხსენებთ.

იური ოსიპოვი,
პურპროდუქტების მინისტრის ყოფილი მოადგილე;

მალხაზ დოლიძე,
პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

სასულიერო პირი გარდაიცვალა

ალავერდის ეპარქია სამწუხარო ინფორმაციას ავრცელებს:

„ალავერდის ეპარქიის მრევლი მწუხარებას გამოთქვამს დეკანოზი ფარნაოზის (მარგალიტაშვილი) გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის მეუღლეს და შვილებს, შვილიშვილებს. ღმერთმა განუსვენოს კეთილმსახურ მოძღვარს და აცხოვნოს მისი უკვდავი სული“, – ნათქვამია განცხადებაში.

მამუკა ხაზარაძის „მუსტანგს“ ცეცხლი გაუჩნდა

„ლელოს“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა. კადრები პოლიტიკოსმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა. „გადავრჩით, ვაგრძელებთ მოძრაობას“, – დაწერა ხაზარაძემ.

როგორც ცნობილია, პოლიტიკოსი „მუსტანგით“ გადაადგილდება. მან ავტომობილის ვიდეო გასულ კვირას ატვირთა „ტიკტოკზე“ და თქვა, რომ აღნიშნული მანქანით იმოგზაურებდა „საქართველოს თითქმის ყველა სოფელსა და რეგიონში“. როგორც მისმა თანაპარტიელმა ირაკლი კუპრაძემ თქვა, ხაზარაძის მანქანა არ არის ძვირადღირებული... ქალაქებსა და რეგიონებში ხალხი ხაზარაძეს პოზიტივით ხვდება, როდესაც „ფორდ მუსტანგს“ ხედავენ და ეს ლელოს პოლიტიკური კამპანიის ნაწილია.

საოცარი ბუნება, უძველესი კულტურა და სტუმართმოყვარე ხალხი...

ინდოეთში ყველაზე რეიტინგული ინგლისურენოვანი გამოცემა The Times of India მკითხველს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს. გამოცემა ხუთ საუკეთესო ტურისტულ მიმართულებას ასახელებს.

საქართველო სამოგზაურო სიაში პირველ ადგილზეა. საქართველოსთან ერთად, გამოცემა მკითხველს ბუტანში, შრი ლანკაში, ომანსა და მადაგასკარში მოგზაურობას სთავაზობს.

„ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო ამაყობს საოცარი ბუნებით, აქ თოვლით დაფარული კავკასიონის მთები შავ ზღვამდეა გადაჭიმული. თბილისი მოგზაურებს ატყვევებს ისტორიული არქიტექტურით, მრავალფეროვანი გაზრებით, ხელოვნების შედევრებით. საქართველოში თქვენ აღმოაჩენთ უძველეს მონასტრებს, გასინჯავთ საოცარ ღვინოს და გაიცნობთ სტუმართმოყვარე ხალხს“, – წერს ინდური გამომცემლობა საქართველოს შესახებ. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ცნობით, გამოცემა The Times of India-ს მთელ მსოფლიოში ათობით მილიონი მკითხველი და გამომწერი ჰყავს.

მსოფლიო გასტროკონკურსი ქართული კულინარიით მოიხიბლა

ესპანეთში, მადრიდში მიმდინარე მსოფლიოში ყველაზე გავლენიან გასტროკონგრესზე Madrid Fusiцn 2024 ქართულ სამზარეულოს გაეცნენ.

მათივე ცნობით, კონგრესის ბოლო დღეს ქართველმა შეფმზარეულმა დავით ნარიმანაშვილმა მონაწილეებისთვის ქართული კულინარიული მასტერკლასი გამართა. „Madrid Fusiцn“ 2024-ზე საქართველო სტუმრის სტატუსით მონაწილეობს. საერთაშორისო კონგრესზე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტენდთან სტუმრები და კულინარიის სფეროს წარმომადგენლები ქართულ სამზარეულოს, ღვინოსა და ტურისტულ პროდუქტებს ეცნობიან. საქართველოს სტენდზე ინტეგრირებულია ეგრეთწოდებული Show Kitchen.

სტუმრის სტატუსის ფარგლებში საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დამატებით თემატური სცენები დაეთმო, რომლის ფარგლებშიც მთავარ სცენაზე ქართული კერძების მასტერკლასები და სამი სახის ღვინის დეგუსტაცია ჩატარდა. Madrid Fusiцn-ზე ქართული სამზარეულო მადრიდში მდებარე რესტორანმა „ნუნუკამ“ წარადგინა. გასტროკონგრესის მონაწილეებს საქართველოს სომელიეთა ასოციაციის თავმჯდომარემ შალვა ხეცურიანმა ქართული ღვინის მრავალი საუკუნოვანი ისტორია გააცნო“.

ნუცა ბუზალაძე ევროვიზიაზე მეორე ნახევარფინალურ შოუში იმღერებს

ევროვიზია 2024-ის მასპინძელ ქალაქ მალმეში კონკურსის წილისყრა გაიმართა, სადაც ცნობილი გახდა, რომ საქართველოს წარმომადგენელი ნუცა ბუზალაძე მეორე ნახევარფინალური შოუს მეორე ნახევარში იმღერებს.

საქართველოსთან ერთად, მეორე ნახევარფინალში იმღერებენ: ავსტრია, მალტა, შვეიცარია, საბერძნეთი, ჩეხეთი, ალბანეთი, დანია, სომხეთი, ისრაელი, ესტონეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, ლატვია, სან-მარინო და ბელგია.



შვეიცარია რუსული ბრილიანტის იმპორტს კრძალავს

შვეიცარია პირველი თებერვლიდან, რუსული ბრილიანტების იმპორტს კრძალავს.

მთავრობის განცხადებით, შვეიცარია შეუერთდა EU-ს დეკემბრის სანქციების პაკეტს, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, რუსული ბრილიანტის იმპორტის აკრძალვასაც მოიცავს.

„ამგვარად, შვეიცარია უერთდება 2023 წლის 6 დეკემბერს G7-ის სამიტზე შეთანხმებულ ზომებს, რათა რუსეთს ეს მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო ჩამოერთვას“, – ნათქვამია მთავრობის განცხადებაში.

აღმოჩენილია პუტინის კიდევ ერთი საიდუმლო სასახლე

პუტინის კიდევ ერთი მკაცრად გასაიდუმლოებული რეზიდენცია რუსეთ-ფინეთის საზღვართან იქნა აღმოჩენილი, – ამის შესახებ საგამოძიებო გამოცემა „დოსიე ცენტრი“ იუწყება. კომპლექსი ფინეთიდან 30 კილომეტრში, რუსეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კარელიის რესპუბლიკაში მდებარეობს.

რეზიდენცია მოიცავს თანამედროვე სტილის სამ სახლს მარჯალაჰტის ყურის სანაპიროზე, ორ ასაფრენ მოედანს ვერტმფრენისთვის, რამდენიმე სადგომს იახტებისთვის, კალმახისა და ძროხების ფერმას. გამომძიებელი ჟურნალისტები პუტინს ჩანჩქერის მიტაცებაშიც ადანაშაულებენ, ირკვევა რომ ეროვნულ პარკის ტერიტორიიდან უნიკალური ჩანჩქერი ამოიღეს და ის მდიდრული კომპლექსის პერიმეტრს მიაწერეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

„ბაბაჯანას ქოშები“ ხაშურში

ხაშურის თოჯინების თეატრში ყოველწლიურად ხდება თოჯინების თეატრში წარმოდგენილი ძველი სპექტაკლების აღდგენა, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა და რეპეტიციები სპექტაკლზე „ბაბაჯანას ქოშები“, რომელიც წლების წინ დაიდგა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელთა შორის, – ინფორმაციას ამის შესახებ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება ავრცელებს.

„ძველი თბილისის ვაჭართა და უბრალო ხელოსანთა ცხოვრება, თავისი მხიარული და სასაცილო მომენტებით, მხიარული მუსიკებით,ზღაპრული დეკორაციებით უდიდეს აღფრთოვანებას და ოვაციებს იწვევს პატარა მაყურებელთა შორის“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 5 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6771; ევრო - 2.8902;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3833;
100 რუბლი - 2.9913; თურქული ლირა - 0.0883;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5774;
1000 სომხური დრამი - 6.6505

ამინდი 2 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-10,	დღე +6
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე +6
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-2,	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე +5
თბილისი:	ღამე	-2,	დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge